ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

შრომის უსაფრთხოების და სოციალური დიალოგის მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირებულობის გზით

რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“

ასოციაცია „ქალები რეგიონების განვითარებისთვის“

2020 წელი

შრომის უსაფრთხოების და სოციალური დიალოგის

მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირებულობის გზით

პროექტის ავტორები: მარიკა ვაჭარაძე

მაკა ხეცურიანი

შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში

ავტორი: ირაკლი მხეიძე

პროექტს „შრომის უსაფრთხოების და სოციალური დიალოგის მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირებულობის გზით “ ახორციელებს რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“ და ასოციაცია „ქალები რეგიონების განვითარებისთვის.“ იგი დაფინანსებულია ”სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის" ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით. პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელნი არიან ორგანიზაციები „ნათელი მომავალი“ და „ქალები რეგიონების განვითარებისთვის" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა

სარჩევი

- ინფორმაცია პროექტის შესახებ .....4გვ.
- შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში .....6გვ.
- ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგია და მისი სტრუქტურა .....7გვ.
- განხორციელებული შემოწმებები .....8გვ.
- ინფორმაცია „ჯორჯიან მანგანეზში" გამოვლენილი დარღვევების შესახებ „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის კონტექსტში .....45გვ.
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი .....53გვ.
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი .....57გვ.
- შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის (პრევენცია) 1-ლი პუნქტი .....59გვ.
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის (პრევენცია) მე-3 პუნქტი .....67გვ.
- შეჯამება .....81გვ.

ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტს „შრომის უსაფრთხოების და სოციალური დიალოგის მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირებულობის გზით“ რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად „ქალები რეგიონების განვითარებისთვის“ ახორციელებს.

შრომის უსაფრთხოება და დამსაქმებულთა უფლებების დაცვა ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა. ამის დასტურია ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც დასაქმებულთა გარდაცვალების ფაქტებს შრომის დროს აღწერს. იმერეთის რეგიონი ამ კუთხით განსაკუთრებით მოწყვლადია. ტყიბულის შახტაში 16 ადამიანი დაიღუპა ბოლო სამი წლის მანძილზე. მათი გარდაცვალების მიზეზი შრომის უსაფრთხოების მინიმალური სტანდარტების დაუცველობა იყო. ხოლო გასულ წელს ორი ადამიანი გარდაიცვალა ქუთაისში მრვალსართულიანი სახლის მშენებლობის დროს. ისინი მუშები იყვნენ, რომლებიც ასევე უსაფრთხოების ნორმების დაუცველობის გამო ფატალურ შედეგამდე მივიდნენ. შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვით საინტერეოსოა ზესტაფონის მუნიციპალიტეტი. ასევე, ჭიათურა და საჩხერე, სადაც მადნის მოპოვება ღია კარიერებზე მიმდინარეობს. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არსებულ საწარმოებში მომუშავე ადამიანები სწორედ რომ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშისპირობებიან სამუშაოზე არიან დასაქმებულები.

კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა 2018 წლის 7 მარტს მიიღო. 2019 წლის იანვრიდან კანონი სრულად ამოქმედდა, რასაც სხვადასხვა სახის რეგულაციების, მათ შორის, უსაფრთხოების ნორმების დარღვევის შემთხვევაში სანქციების ამოქმედება მოყვა. არსებული რეგულაციები და შესაბამისად კანონის აღსრულება ქმნის მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტიას. მათი აღსრულება სარგებლის მომტანია როგორც დასაქმებულისთვის ასევე დამსაქმებლისთვის, რადგან იგი ასევე ეხება დამსაქმებელთა უფლებებსა და ვალდებულებებს. აღნიშნული კანონის მიხედვით, დამსაქმებელი ვალდებულია მოახდინოს მომეტებული საფრთხის შემცველი, მძიმე და საშისპირობებიანი სამუშაოების საქმიანობის რეგისტრაცია. საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრში უნდა მოხდეს, ხოლო ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც საქმიანობას შეეხება, უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ მე-7 მუხლი შრომის უსაფრთხოების ორგანიზებას და მართვას მოიცავს. ეს მუხლი დამსაქმებელს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დანიშვნას, ზოგ შემთხვევაში კი სამსახურის შექმნასაც ავალდებულებს. ამავე მუხლი განსაზღვრავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის კვალიფიკაციას. მნიშვნელოვანია „საწარმოო ექიმის“ დასაქმება საწარმოში, რომელიც კვალიფიკაციას კონკრეტულ სპეციალობებში არსებული სახელმწიფო სერთიფიკატით ადგენს. აღნიშნული მუხლი სრულად მოიცავს იმ სტანდარტს რასაც შრომის უსაფრთხოებაში თანამედროვე, ევროპული სტანდარტი აწესებს. თუმცა აღნიშნული ცვლილებები სრულიად ახალია დამსაქმებლებისთვის. ამ დრომდე მათი საქმიანობა ამ კუთხით ფაქტობრივად უკონტროლო იყო. კანონი ასევე, დასაქმებულებს აძლევს უფლებას ჰყავდეს მათ მიერვე არჩეული პირი შრომის უსაფრთხოების საკითხებში. მნიშვნელოვანი ცვლილება და ნოვაციაა დამსაქმებლის ვალდებულება უზრუნველყოს დასაქმებული უბედური შემთხვევის დაზღვევით.

უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა საწარმოებში დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სოციალური დიალოგის არარსებობა. აღნიშნულს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოციალური დიალოგის თაობაზე ცნოებიერების დაბალი დონე, როგორც დამსაქმებლებს, ასევე დასაქმებულებს შორის. მხარეები ვერ აცნობიერებენ იმ სიკეთეებს და სარგებელს, რაც შეუძლია მოიტანოს სოციალურმა დიალოგმა, მხარეებს შორის და დავების პრევენციის თვალსაზრისით. ხშირ შემთხვევაში სოციალურ დიალოგს დამსაქმებელი ხარჯების გაზრდას უკავშირებს. მეტიც, ნაკლებია მხარეების მხრიდან სოციალურ დიალოგში ჩართვის მზაობა. თუმცა ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მათ არ აქვთ სათანადო ინფორმაცია ამ დიალოგის დაწყების და მართვის შესახებ.

პროექტის ფარგლებში „ჭიათურ მანგანუმის“, ტყიბულის ქვანახშირის და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის 22 დასაქმებულს ორდღიანი ტრენინგი ჩაუტარდათ სოციალური დიალოგის არსის, მნიშვნელობის და სწორად მართვის შემთხვევაში სარგებლის შესახებ. ისინი გაეცვნენ სხვა ქვეყნის პრაქტიკას და ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებში ამ კუთხით არსებულ სიახლეებს. ტრენინგის მონაწილეებს ქონდათ შესაძლებლობა სახალხო დამცველის დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელს შეხვედროდნენ და სახალხო დამცველის მანდატს გაცნობოდნენ.

ტრენინგი ჩაუტარდათ იმერეთის რეგიონის მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებს (12 მონაწილე). ისინი საწარმოებში პროფკავშირების საქმიანობას და შრომის უფლებების კუთხით არსებულ ვითარებას გაეცნენ. მათ ქონდათ საშუალება კონკრეტული ქეისები მოესმინათ და ემსჯელათ. მედიის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია შრომის უსაფრთხოების სფეროში არსებულ საკანონმდებლო ბაზაზე, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე. ასევე, შრომის უსაფრთხოების სამსახურის შექმნის, მუშაობის და თანამშრომელთა აყვანის შესახებ. განხილული იქნა სახელმწიფო უწყებების საქმიანობა, რომელიც შრომის უსაფრთხოების კუთხით საწარმოებში ინსპექტირებას ახორციელებს.

ტერნინგების მიმდინარეობა აქტიურად გაშუქდა ადგილობრივი მედიის მიერ: მომზადა ტელე და რადიო სიუჟეტები, სტატიები; პროექტის განხორციელების დროს ორგანიზაციამ აქტიურად ითანამშრომლა მეტალურგთა, მეშახტე-მაღაროელთა და ქიმიკოსთა პროფკავშირებთან.

პროექტის მიზანი:

- საწარმოებში შრომის უსაფრთხოების სამსახურის მუშაობის მონიტორინგი;
- სოციალური დიალოგის წარმოების გაუმჯობესება;
- რეგიონული მედია საშუალებების ინფორმირებულობა;

სამიზნე აუდიტორია:

პროექტის პირდაპირი სამიზნე ჯგუფებია: იმერეთის მუნიციპალიტეტში - ზესტაფონი, ტყიბული, და ჭიათურაში დასაქმებული ადამიანები, რომლებსაც მომეტებული საფრხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიანი სამუშაოს შესრულება უწევთ. ასევე, საწარმოოს ხელმძღვანელები და მედიის წარმომადგენლები;

არაპირდაპირი ბენეფიციარები არიან: საწარმოებში დასაქმებული ადამიანების ოჯახის წევრები, საშუალოდ. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში მცხოვრებლები, მედიის მიერ მომზადებული მომზადებული ჟურნალისტური პროდუქტის მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი.

შრომის უსაფრთხოების მონიტორინგის ანგარიში

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია პროექტის „შრომის უსაფრთხოების და სოციალური დიალოგის მონიტორინგი საზოგადოების ინფორმირებულობის გზით“ ფარგლებში. იგი მიზნად ისახავს მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის, ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელ მაღაროებზე და ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში 2019 წელს შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული ვითარების შესახებ.

2019 წლის 1 სექტემბერს სრულად ამოქმედდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის ნორმები. იგი გავრცელდა საქართველოში ყველა ტიპის შრომით ურთიერთობაზე, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში, მცირე გამონაკლისების გარდა. 2019 წლის 1 სექტემბრამდე ეს კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშ პირობებიან სამუშაოებზე.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უფლებებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან. აღნიშნული კანონი დასაქმებულთა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით პასუხისმგებლობას ძირითად დამსაქმებელს აკისრებს. თუმცა, კანონში ასევე გაწერილია დასაქმებულთა შესაბამისი ვალდებულებებიც.

კანონი გაწერს დამსაქმებელთა ისეთ ვალდებულებებს, როგორებიცაა შრომის უსაფრთხოების პოლიტიკისა და შესაბამისი დოკუმენტის შემუშავება, რისკების შეფასება და პრევენციული ღონისძიებების დანერგვა, დამსაქმებლის ვალდებულება, დასაქმებულებს უფასოდ და დადგენილი პერიოდულობით ჩაუტაროს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სწავლება და ინსტრუქტაჟი, დასაქმებულებს მიაწოდოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დასაქმებულთა დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან, დანიშნოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან შექმნას შესაბამისი სამსახური, დასაქმებულებს შეუწყოს ხელი, რათა არჩეულ იქნეს დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში, დასაქმებულებთან გაიაროს კონსულტაცია შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და სხვ.

2019 წლიდან ამოქმედებული ერთ-ერთი მთავარი სიახლე, რაც არის ზედამხედველი ორგანოს შესაძლებლობა - წინასწარი შეტყობინების გარეშე შეამოწმოს ნებისმიერი სამუშაო სივრცე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს განახორციელოს ინსპექტირება, მოკვლევა და შემოწმება;

2018 წელს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონისა და 2019 წელს იგივე სახელწოდების ორგანული კანონის ამოქმედების შემდეგ, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზში'' ზედამხედველი ორგანოს მიერ განხორციელდა 2 ინსპექტირება (შემოწმება). ვფიქრობთ საინტერესო იქნება ამ კომპანიის, როგორც საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის სამუშაო სივრცეებში ახალი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ხარისხი.

ანგარიში მოიცავს სწორედ 2019 წელს კომპანიაში შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებულ ვითარებას.

ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგია და მისი სტრუქტურა

წინამდებარე ანგარიში მთლიანად ეფუძნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. კერძოდ, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებული ობიექტების ინსპექტირების მასალებს.

2018-2019 წლებში შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა აღნიშნულ კომპანიაში განახორციელა 2 ინსპექტირება. პირველი შემოწმება განხორციელდა 2018 წელს და მისი შედეგები ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც თავდაპირველი ან პირველი ინსპექტირება. მეორე შემოწმება განხორციელდა 2019 წლის შემოდგომასა და ზამთარში. მისი შედეგები ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც განმეორებითი ინსპექტირება (შემოწმება).

აღნიშნული 2 შემოწმების მასალები ორგანიზაციამ, საჯარო ინფორმაციის სახით, გამოითხოვა რამდენიმე ეტაპად. პირველად ორგანიზაციამ გამოითხოვა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' 2018 წლის შემოწმების მასალები. შემდგომ ეტაპზე რამდენიმე წერილით გამოთხოვილი იქნა კომპანიის 2019 წლის შემოწმების შედეგები.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ გასაჩივრებულია შრომის პირობების ინსპექტირების მიერ 2019 წელს (განმეორებითი შემოწმებისას) შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმები, შესაბამისად, განმეორებითი ინსპექტირების შედეგები წარმოადგენს სასამართლო დავის საგანს და ამ ეტაპზე, შეუძლებელია ითქვას, ჰქონდა, თუ არა, ადგილი ყველა იმ დარღვევას შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' შემოწმებულ ობიექტებზე, რომელიც მითითებულია კომპანიის განმეორებითი (2019 წლის) ინსპექტირების მასალებში. ჩვენ მიღებულ მასალებზე დაყრდნობით, ავღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ანგარიშში მითითებული დარღვევები შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზში'' გამოვლენილია შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ და დაფიქსირებულია მის მიერ გამოცემულ შესაბამის აქტებში.

აღსანიშნავია, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზთან'' ერთად, ჩვენ გამოთხოვილი გვქონდა ინფორმაცია ,,საქნახშირში'' (ჯი აი ჯი ჯგუფში) ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განხორციელებული ინსპექტირების შედეგების შესახებ. თუმცა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გვაცნობეს, რომ შპს ,,საქნახშირში'' (ჯი აი ჯი ჯგუფში), შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტს ინსპექტირება 2019 წელს სამუშაო პროცესის შეჩერების გამო არ განუხორციელებია.

შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში მოიცავს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებულ ობიექტებზე, მათ შორის, ჭიათურის მარგანეცის მომპოვებელ მაღაროებზე და ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში 2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ დარღვევებს.

იმისათვის, რომ გასაგები იყოს 2019 წლის შემოწმების აქტებისა და დეპარტამენტის მიერ გაცემული მითითებების შინაარსი, ანგარიშში ასევე მოცემულია ინფორმაცია შპს ,,ჯორჯიან მანგანეზში'' 2018 წელს განხორციელებული ინსპექტირებისა და დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ.

ანგარიშის პირველი ნაწილი აღწერს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებულ ობიექტებზე განხორციელებულ ინსპექტირებებს (როგორც პირველს, ასევე განმეორებითს). ამ ნაწილში ინფორმაცია წარმოდგენილია ქრონოლოგიურად - ჯერ მიმოხილულია განმეორებითი შემოწმების განმაპირობებელი წინაპირობები, დეპარტამენტის მიერ 2018 წელს განხორციელებული შემოწმების შედეგად შედგენილი მითითებების ზოგადი შინაარსი, ხოლო შემდგომ დეპარტამენტის მიერ 2019 წელს განხორციელებული განმეორებითი შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები.

ანგარიშის მე-2 ნაწილში მოცემულია შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანაგანეზის'' შემოწმებების შედეგად გამოვლენილ შეუსაბამოებთან დაკავშირებული ნორმები, კერძოდ, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის დებულებები. ამ ქვეთავებში თითოეული მუხლის შემდგომ, მოცემულია ინფორმაცია თუ რომელ ობიექტზე გამოვლინდა ამ მუხლით გათვალისწინებული ნორმის დარღვევა და რა სახის მითითების შეუსრულებლობამ განაპირობა ამ ნორმის დარღვევის დადგენა დეპარტამენტის მიერ.

ანგარიშის მე-3 ნაწილში, დანართის სახით, მოცემულია 2019 წელს განხორციელებული ინსპექტირების (განმეორებითი შემოწმების) შედეგად შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი განმეორებითი მითითებების ასლები.

განხორციელებული შემოწმებები

ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზში'' საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2018 და 2019 წელს განხორციელებული შემოწმებებისა და მის მიერ გამოვლენილი დარღვევების შესახებ. ინფორმაცია დალაგებულია ქრონოლოგიურად - ჯერ მოცემულია 2018 წლის (თავდაპირველი შემოწმების) ინსპექტირებებისას დეპარტამენტის დადგენილი შეუსაბამობების თაობაზე, რათა მკითხველს სრული წარმოდგენა შეექმნას განმეორებითი შემოწმების შედეგების შესახებ, ხოლო ამის შემდეგ, მოცემულია ცნობები იმ მითითებების შეუსრულებლობის თაობაზე, რომლებიც დადგინდა 2019 წელს და რომლებიც დიდწილად ეფუძნება 2018 წელს დეპარტამენტის მიერ გაცემულ მითითებებს.

კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ 2019 წლის შემოწმების შედეგად დეპარტამენტის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები გასაჩივრებულია შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ სასამართლოში და მიმდინარეობს შესაბამისი სამართალწარმოების პროცედურები. ამის გამო, ჩვენ მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დარწმუნებით ვიმსჯელოთ, 2019 წელს გამოვლენილი დარღვევები და კომპანიის მიმართ გამოყენებული სანქციები, დარჩება, თუ არა, საბოლოოდ ძალაში სასამართლო განხილვის შემდეგ.

განვიხილოთ 2018-2019 წლებში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებული ობიექტების შემოწმების შედეგები:

1. 2018 წლის დეკემბერში ჭიათურის მუნიციპალიტეტში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლისა და შემოწმების მიზნით, განახორციელა **<u>შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის" ავტოპარკის პირველადი ინსპექტირება</u>**.

2018 წლის 18 დეკემბერს დეპარტამენტის მიერ გამოცემულ **<u>პირველ მითითებაში #000096/ო</u>** აღნიშნულია, რომ შემოწმების შედეგად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ავტოპარკში გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

- შემოწმების პროცესში კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავდა ობიექტზე არსებულ რეალობას. კერძოდ, დეპარტამენტის მიერ გამოცემულ აქტში მითითებულია, რომ ავტო-პარკში არ ხორციელდებოდა სამუშაო სივრცეებში საფრთხეების შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებ საშიში ფაქტორებით. მაგალითად: ავტო ტექნიკის პარკში დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები:
  - მაღალი წნევის ბალონები არ იყო დასაწყობებული საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების მიხედვით (ჟანგბადის ბალონები განთავსებული იყო საპოხი მასალით დასვრილ ტერიტორიაზე. მაღალი წნევის ბალონები დასაწყობებული იყო შედუღების საამქროში) - აღნიშნული ქმნიდა მათი აფეთქების მაღალ რისკს;
  - ავტო-ტექნიკის სარემონტო-სათვალიერებელ თხრილთან, ტელფერის განთავსების ადგილის მიმდებარედ, ელ-ამომრთველი ღია მდგომარეობაში იყო. ასევე, ღია მდგომარეობაში დაფიქსირდა ელ-გაყვანილობის დაბოლოებები და ელ-გამანაწილებელი კარადები;
  - ხის საამქროში მოქმედი ხის ელექტროდისკოიან ხერხს არ ჰქონდა დამცავი;
  - ავტო-გასამართ სადგურს არ ჰქონდა მეხ-დაცვა;
  - დარღვეული იყო სახანძრო უსაფრთხოება;
  - მძიმე ტექნიკის საწყობში საპოხი მასალები და საბურავები დასაწყობებული იყო ერთ სივრცეში;
- კომპანია დასაქმებულებს არ უზრუნველყოფდა საწარმოს ტერიტორიაზე საგანგებო სიტუაციებში საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ სრულყოფილი სწავლებით/ტრენინგებით;
- ობიექტზე დასაქმებულები, კერძოდ, სახარატოში არ იყვნენ აღჭურვილნი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ: სპეცტანსაცმლით, სათვალით;
- მძიმე ტექნიკის შეკეთების დროს დასაქმებულები არ გამოიყენებდნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებას (ჩაფხუტი);
- ობიექტზე არ ხორციელდებოდა სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მავნე აეროზოლების კონცენტრაციის გაზომვა;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ იყო განსაზღვრული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელსაც დაეკისრებოდა უფლებამოსილება - განეხორციელებინა ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე;
- დამსაქმებელი არ ახორციელებდა პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს. იგი საქართველოს კანონმდებლობით

გათვალისწინებულ შემთხვევებში ასევე, არ ახორციელებდა დასაქმებულთა წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, კომპანიას აღნიშნული დარღვევების გამოსასწორებლად მიეცა მითითება და გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 19 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ავტო-პარკში** განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის **განმეორებითი შემოწმება**.

ინსპექტირება ჩატარდა პირველი მითითების N000096/ო (თარიღი 18.12.2018) შესრულების მდგომარეობის დასადგენად.

შემოწმების შედეგად, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ, არ შესრულდა პირველადი მითითების (N000096/ო) 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ კვლავ დაფიქსირდა პირველადი შემოწმების დროს გამოვლენილი, ზემოაღნიშნული დარღვევების ნაწილი. განმეორებითი დარღვევები, ძირითადად, უკავშირდებოდა:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების დარღვევას;
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვის ვალდებულების დარღვევას;
- საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმების, გაზომვისა და შეფასების ვალდებულების დარღვევას;
- დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ვალდებულების დარღვევას;

შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია, კანონის შესაბამის მუხლებთან ერთად, წარმოდგენილია შემდგომ ქვეთავებში.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად, 2019 წლის 27 აგვისტოს შედგა შემოწმების აქტი #000096/შ და ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა. ამავე დროს, ,,ჯორჯიან მანგანეზს'' დარღვევების გამოსასწორებლად და ხელმეორედ მითითების შესასრულებლად მიეცა დამატებითი გონივრული ვადა (გაცემული მითითება - #000254/ო, თარიღი: 27.08.2019 - იხ. დანართში).

2. 2018 წლის 15-დან 19 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ჭიათურის მუნიციპალიტეტში განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი **ცენტრალური საწყობის პირველადი ინსპექტირება.** მისი მიზანი იყო ობიექტზე არსებული ვითარების „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის დადგენა.

პირველი ინსპექტირების შედეგად, ცენტრალურ საწყობში გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების მიერ შედგენილ N000045/ო (17.12.2018) მითითებაში. კერძოდ, დოკუმენტში

აღნიშნულია, რომ პირველადი შემოწმების დროს ცენტრალური საწყობის ტერიტორიაზე გამოვლენილი იყო შემდეგი დარღვევები:

- საწყობის ტერიტორიაზე არ ხორციელდებოდა სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და მათგან მომდინარე რისკების შეფასება და მართვა. კერძოდ:
  - საწყობის გარე პერიმეტრზე მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ განთავსებული იყო ნავთობპროდუქტებით სავსე ავზები. პერიმეტრის ტერიტორია დაბინძურებული იყო სხვადასხვა სახის ნარჩენებით და გადანაყრებით;
  - ტერიტორიაზე მოწყობილი იყო ავტოსატრანსპორტო საშუალებების სამრეცხაო. ტრანსპორტის რეცხვისას პერსონალი არ იყო უზრუნველყოფილი სპეცტანსაცმლით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
  - კომპანიამ ვერ წარმოადგინა სარეცხი დანადგარის (ტექნიკური აღჭურვილობა) - შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი - დამიწების კონტურის ომურ წინაღობაზე შემოწმების დამადასტურებელი საბუთი;
  - საწყობის ტერიტორიაზე არსებული ამწეს კაბინა სარემონტო იყო - დაზიანებული იყო ასასვლელი კიბე, ფანჯრები - ჩამტვრეული; იატაკზე არ იყო განთავსებული მაიზოლირებელი ქვესაგები;
  - გაშიშვლებული იყო ელექტროსადენები, არ იყო უზრუნველყოფილი მათთან დასაქმებულთა უნებლიე კონტაქტის აღკვეთა - გაუქმებული იყო ელექტროობის ამომრთველი ბლოკირებები;
  - კომპანიამ ვერ წარმოადგინა ამწეზე (ტექნიკური აღჭურვილობა) უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - არ იყო გათვალისწინებული საწყობის ტერიტორიაზე არსებული ავტოგასამართი სადგურიდან (ასგ) მომდინარე რისკები - აალება და აფეთქება;
  - არ იყო მოწყობილი მეხდაცვა;
- საწყობში არსებულ კიბეს არ ჰქონდა ვარდნის საწინააღმდეგო მყარი სალტეების კონსტრუქცია;
- ფარდულის ტიპის მცირე ოფისი საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს - დაზიანებული იყო იატაკის საფარველი (ლინოლიუმი);
- საწყობის ძირითად ნაგებობასთან არსებულ ბაქანს არ ჰქონდა ვარდნის საწინააღმდეგო მოაჯირები. შიდა პერიმეტრი (პირველი სართული) გადატვირთული იყო დიდი რაოდენობის ნარჩენებით და საჭიროებდა დასუფთავებას;
- პირველი სართულის იატაკის საფარველი იყო დაბინძურებული ნავთობპროდუქტებით - საჭიროებდა დეკონტამინაციას;
- დასაქმებულები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სასმელ-სამეურნეო დანიშნულების გამდინარე წყლით, რაც აუარესებდა შენობაში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას;
- საწყობის ლიფტის კარები იყო დაზიანებული და პერსონალი კაბინით გადაადგილდებოდა უსაფრთხოების წესების დარღვევით - არ იყო უზრუნველყოფილი ლიფტის ამძრავი მექანიზმის ბლოკირება კაბინის კართან, რომელიც შეზღუდავდა მის ამოძრავებას ღია კარით.
- საწყობის მეორე სართულზე სველი წერტილები განათების გარეშე იყო;

- მუშათა გასახდელი საჭიროებდა სარემონტო სამუშაოებს - მოსაწესრიგებელი იყო ელექტროგაყვანილობა; გამოიყენებოდა ღია სპირალიანი კუსტარული ელექტრო გამათბობლები;
- საშხაპე საჭიროებდა დასუფთავებას სადეზინფექციო საშუალებებით;
- სამუშაო ადგილები არ იყო უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით;
- არ იყო შემუშავებული საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო გეგმები (მაგ: ლიფტის კაბინიდან ავარიული გაჩერების შემთხვევაში) და პერსონალისთვის უცნობი იყო მათი განხორციელების წესი;
- საწყობის შენობაში მოსაწესრიგებელი იყო ელექტროგაყვანილობა -დაზიანებული იყო ელ-სადენები; ამომრთველები არ იყო განთავსებული სრულად კარადებში; არსებული კარადები შეღწევადი იყო არაავტორიზებულ პირთათვის - არ იყო დახურული, დაკეტილი და ნიშანდებული;
- საწყობის ტერიტორიაზე მოძრავ ჩამტვირთავ სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა ხმოვანი და მაშუქი სასიგნალო სისტემები;
- საწყობის ეზოს პერიმეტრზე არ იყო განთავსებული სიჩქარის შემზღუდავი ნიშანი;
- არ იყო განცალკევებული ტრანსპორტის და ქვეითთა სამოძრაო გზები;
- საწყობის ტერიტორიაზე არსებული ტრანსფორმატორი არ იყო დაცული არაავტორიზებულ პირთა შეღწევისგან - დაკეტილი და შესაბამისად ნიშანდებული.

ცენტრალური საწყობის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება და გონივრული დრო მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 27 აგვისტოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი <u>ცენტრალური საწყობის განმეორებითი შემოწმება</u>. შემოწმების მიზანი იყო გაკონტროლებულიყო 2018 წლის 17 დეკემბერს დეპარტამენტის მიერ გაცემული #000045/ო მითითების შესრულების პირობები.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზმა'' აღნიშნულ ობიექტზე არ შეასრულა 2018 წელს მიღებული მითითებების უმრავლესობა. განმეორებითი დარღვევები, ძირითადად, უკავშირდებოდა:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების დარღვევას;
- საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმების, გაზომვისა და შეფასების ვალდებულების დარღვევას;
- ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების შემოწმების ვალდებულების დარღვევას;
- დასაქმებულთა კოლექტიური დაცვის საშუალებებით აღჭურვის ვალდებულების შეუსრულებლობას;
- პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ზომების განუხორციელებლობას;

- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვის ვალდებულების დარღვევას;
- დასაქმებულთათვის საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების წესის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობას;
- ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა სავალი გზების გაუმიჯნაობას და ნიშანდების განუხორციელებლობას;

შეუსრულებელი მითითებების შესახებ, დეტალური ინფორმაცია მოცემული მუხლობრივად, შემდგომ ქვეთავებში.

აღნიშნული მითითებების შეუსრულებლობის გამო, 2019 წლის 27 აგვისტოს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგა შემოწმების აქტი #000045/შ და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა და დარღვევის გამოსასწორებლად გაიცა შესაბამისი მითითებები. მითითებების შესახებ, დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი - 27.08.2019 წლის მითითება #000255/ო.

3. 2018 წლის 15-დან 18 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის" კუთვნილ **ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში** განახორციელა **პირველადი ინსპექტირება.** მისი მიზანი იყო ობიექტზე არსებული ვითარების „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობის დადგენა.

პირველი ინსპექტირების შედეგად, ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების მიერ შედგენილ N 000068/ო (18.12.2018) მითითებაში. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პირველადი შემოწმების დროს ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში გამოვლენილი იყო შემდეგი დარღვევები:

1. ინსპექტირების დროს გამოთხოვილ იქნა და ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს. ასევე, საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რაშიც იგულისხმება სამუშაო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირება/გამოვლენა, რისკის სიდიდის/მნიშვნელობის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მაგალითისთვის, ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა შემდეგი საფრთხისშემცველი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრა და შემცირება აუცილებელია დასაქმებულთა

სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროფესიული დაავადებები, საწარმოო ტრამვები და უბედური შემთხვევები.

- 1-ელ, მე-4 და საჩამომსხმელო საამქროებში მდნობელები რომლებსაც შეხება აქვთ მაღალ ტემპერატურასთან და ცხელ ზედაპირთან არ არიან უზრუნველყოფილნი გამოსხივებისაგან დამცავი სახისა და თვალის დამცავი ფერადი ფარით, რაც წარმოადგენს დასაქმებულთა თერმული დაზიანების რისკს.
- 1-ელ და მე-4 საამქროებში ლითონის ჩამოსხმის დროს აღინიშნება მაღალი დაკვამლიანება, რაც წარმოადგენს სასუნთქი სისტემის და სხვა დაავადებების განვითარების რისკს.
- გაზომვით დაფიქსირდა კანონმდებლობით დასაშვებზე მაღალი ხმაურის დონე (90, 92, 94, 97, 102, 104, 107, 108 DB) რაც ქმნის პროფესიული საავადებების განვითარების რისკს: ნეიროსენსორული სიყრუე, კოხლეარული ნევრიტი, სმენის დაქვეითედბა, ხმაურით გამოწვეული სმენის დაკარგვა.
- ჟანგბადის ბალონების დამუხტვის, გარცმების, ენერგო მოწყობილობათა შემკეთებელ მექანიკურ საამქროში და ავტოსატრანსპორტოში დარღვეულია მაღალი წნევის ქვეშ ჩაჭირხნული ბალონების ექსპლოატაციისა და დასაწყობების წესები, ბალონები არ არის შესაბამისად დაფიქსირებული/განთავსებული კონტეინერებში/გალიებში, რაც წარმოადგენს აფეთქების საშიშროებას.
- სახანძრო განყოფილებაში დარღვეულია ელექტრო უსაფრთხოების წესები, ელ. კაბელების გადაბმის და შეერთების ადგილები არ არის შეფუთული დადგენილი წესით.
- ჩამომსხმელი მანქანის კონვეირების ქვეშ არსებული სივრცე ყველა მხრიდან უნდა ყოფილიყო შემოღობილი გისოსებით ან მოაჯირებით - რაც დარღვეულ იქნა საწარმოს მიერ.
- პირველ და მე-4 საამქროებში, ასევე მზა პროდუქციის საწყობში სივრცეები სხვადასხვა ნიშნულებზე დაფარული იყო საწარმოო მტვრის მაღალი ფენით. არ წარმოებდა აღნიშნული მტვრის სისტემატური დასუფთავება. აღნიშნულ საამქროებში დაფიქსირდა მტვრის მომატებული კონცენტრაცია, რაც წარმოადგენს სასუნთქი სისტემის პათოლოგიების განვითარების რისკს (სხვადასხვა სახის პვნევმოკონიოზები).
- პირველი საამქროს საცერზე, პირველი საამქროს საჩამომსხმელო მანქანა-კონვეირზე, მეოთხე საამქროში სრულად, ასევე მზა პროდუქციის საწყობს (ე.წ. დეესკა) არ გააჩნდა ერთიანი ხელოვნური მომდენ-გამწოვი, ლოკალური ასპირაციული და სავენტილაციო სისტემები, აგრეთვე ტექნოლოგიური პროცესი მნიშვნელოვნად აუარესებდა საწარმოო მიკროკლიმატის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, საწარმოო მტვრისა და მავნე აეროზოლობის ზემოქმედება ამძიმებდა დასაქმებულთა შრომის პირობებს, კერძოდ, 1-ლ საამქროში ციცხვიდან სამანქანო კონვეირზე ლითონის ჩამოსხმის პროცესში, ასევე მე-4 საამქროში ღუმელიდან ლითონის გამოშვებისას და კონვეირზე ციცხვიდან ნადნობი მასის ჩასხმისას, მზაპროდუქციის საწყობში სამსხვრევზე და ტომრებში ჩატვირთვისას ხდებოდა მაგნუმის და სალიციუმის სხვადასხვა ნაერთების დიდი რაოდენობით ორთქლის და მტვრის სახით გამოყოფა და სამუშაო სივრცეში გაფრქვევა, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენდა დასაქმებულთა ჯანმრთელობაზე.
- მე-2 საამქროში და მზა პროდუქციის საწყობში ლითონიანი ავზების დასაწყობება ხდებოდა სიმაღლეზე 5-6 რიგად, სადაც არსებობდა სიმაღლიდან საგნების

ვარდნის საფრთხე, რაც დასაქმებულების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას აყენებდა მნიშვნელოვანი რისის ქვეშ.

- საწარმოს ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელი იყო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისას სიჩქარე, კერძოდ: ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა მარგანეცით დატვირთული სატვირთო ავტომობილების მომეტებული სიჩქარით მოძრაობა, რის შედეგადაც წიდების ღია საწყობ მოედანზე მწყობრიდან იყო გამოსული სანიაღვრე არხზე მოწყობილი მოაჯირები, რაც საფრთხეს უქმნიდა დასაქმებულებისა და სხვა პირების მოედანზე გადაადგილებას.
- მე-4 საამქროს შესასვლელთან სადაც შეუძლებელია 1520 მმ ლიანდაგის მქონე რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ნაგებობებთან მიახლოების სტანდარტული გაბარიტების დაცვა, არ იყო მოწყობილი მაფრთხილებელი სიგნალიზაცია (შუქური, ხმოვანი).

2. ორგანიზაციამ წარმოადგინა ხმაურზე და მტვერზე გაზომვების ჩანაწერები, თუმცა მზომი ხელსაწყოები არ იყო დაკალიბრებული და მას არ ჰქონდა შესაბამი ორგანოს დოკუმეტი, რომელიც დაადასტურებდა მის გამართულობას. ასევე, ინსპექტირების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ მოხდა ხმაურის დონის გაზომვა, სადაც აღინიშნებოდა მომეტებული ხმაურის დონე: წიდების გადამამუშავებელი საამქროს #1 (ჩინურ სამსხვრევ დანადგართან) და #2 უბანზე, #1 საამქროში მე-2 სადნობ ღუმელთან მზა პროდუქციის საწყობში (თურქულ სამსხვრევანა დანადგართან) #1 საამქროს საკაზმე-სადოზატორო განყოფილებაში, გარცმების საამქროში, #4 საამქროს უკან დაბრუნებული წყლის სატუმბ სადგურში, გაზომვით დაფიქსირდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაშვებზე მაღალი ხმაურის დონე (90, 92, 94, 97, 102, 104, 107, 108 DB), რაც ქმნიდა სმენის დაქვეითების და სმენის დაკარგვის რისკს. ასევე, ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა და არ ხორციელდებოდა მიკროკლიმატის პარამეტრების გაზომვები.

3. საწარმოში არსებულ შემდეგ საამქროებში: გარცმების საამქრო, ელექტრო საამქრო, სავაგონო დეპო, საზეინკლო, პირველი საამქროს საცერზე, პირველის საამქროს საჩამოსხმო მანქანა-კონვეირზე, საჩამომსხმელო საამქროს პატარა ღუმელებზე, მზაპროდუქციის საწყობში (ე.წ. დეესკა), მე-4 საამქროს საკაზმე ეზოს დოზატორების განყოფილებაში, 1-ლი საამქროს სადოზატოროში, მექანიკურ საამქროში, სადაც დასაქმებულები იმყოფებიან სხვადასხვა სახის მავნე ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ (მტვერი, ორთქლი და სხვადასხვა სახის მავნე ფიზიკური ფაქტორები) დქასაქმებულთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით და შრომის ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისთვის არ არსებობდა ეფექტური ხელოვნური მომდენ-გამწოვი, ლოკალური ასპირაციული სავენტილაციო სისტემა.

<u>ფეროშენადნობთა საამქროებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ღუმელებიდან გამოყოფილი აირების სრული მოცილება მათი მავნე მინარევებისგან შემდგომი გაწმენდით სანიტარული ნორმებით დადგენილ კონცენტრაციამდე.</u>

4. ორგანიზაციაში დასაქმებულები, რომლებსაც შეხება აქვთ ფიზიკურ ფაქტორებთან (მტვერთან, მავნე აირებთან, ხმაურებთან, ვიბრაციასთან) სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე უზრუნველყოფილი არ იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ასევე, არ იყო უზრუნველყოფილი აღნიშნული საშუალებების ტექნიკური გამართულობა და სისუფთავე, არ იყო დაწესებული კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე.

ასევე, ქარხანაში მოუგვარებელი იყო სპეც. ტანსაცმლის ცენტრალიზებული წესით რეცხვის სისტემის დანერგვის საკითხი, პერსონალი კუთვნილ სპეც. ტანსაცმელს

რეცხავდა ინდივიდუალურად, ოჯახის პირობებში, რაც უარყოფითად აისახებოდა და ქმნის დასაქმებულთა ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხეს. დამსაქმებელი ვალდებულია ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შენახვა, რეცხვა, შემოწმება, გამოცდა და რემონტი აწარმოოს ცენტრალიზებული წესით.

5. ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ იყო განსაზღვრული დასაქმებული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა განეხორციელებინა ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე.

6. დასაქმებულებთან და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დასაქმებულები პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას გადიოდნენ მათი სურვილისამებრ და არ ხდებოდა მისი ორგანიზება. მაშინ, როდესაც დამსაქმებელი ვალდებულია მავნე და საშიში საწარმოო ფაქტორების მოქმედებასთან დაკავშირებულ სამუშაოზე დასაქმებულებისათვის ორგანიზებულ იქნეს მათი პერიოდული სამედიცინო გასინჯვები დადგენილი წესით. იმ პირების სამედიცინო შემოწმება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მანგანუმისა და მისი შენაერთების დაფქვაზე, გაცრაზე, მანგანუმის ელექტროდების დამზადებაზე, მანგანუმის დიდი რაოდენობით შემცველი ფოლადის გამოდნობაზე, უნდა ჩატარდეს - 6 თვეში ერთხელ, ხოლო მათი, ვინც მუშაობს მანგანუმის მცირე რაოდენობის შემცველი ნაერთების დნობაზე, აგრეთვე დახურულ სივრცეში მომდინარე ელექტროშედუღებაზე - 12 თვეში ერთხელ.

7. თხევადი წიდის ჩამოსხმის აუზის ირგვლივ, მადნების მოედნის სანიაღვრე ქსელებზე, 1-ლი საამქროს სარემონტო ღუმელთან, მე-4 საამქროს 35 ნიშნულზე, მოსაწყობი იყო სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო მყარი მოაჯირები.

ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება და გონივრული დრო მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **<u>ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში</u>** 2019 წლის 26-27 ივნისს განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის **<u>განმეორებითი შემოწმება</u>**, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მანამდე გაცემული მითითების 000068/ო შესრულების კონტროლის მიზნით.

გადამოწმების შედეგად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ფეროშენადნობ ქარხანაში არ შესრულდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა-ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტები, მე-3 პუნქტის[1] ,,ვ'' ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტები.

---

[1]ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი. აღნიშნული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, აღნიშნული ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. ქვეპუნქტები აქვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' ძალადაკარგული კანონის შესაბამის პუნქტს. ამასთან ორგანული კანონისა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი და ძალადაკარგული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტები იდენტური შინაარსისაა, კერძოდ, ეხება დამსაქმებლის ვალდებულებას, საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით. ვინაიდან გაცემული მითითება სწორედ კოლექტიური დაცვის საშუალებებით აღჭურვას უკავშირდება, მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის ნუმერაციის ნაცვლად, შეცდომით მითითებულია ძველი ნუმერაცია. ამასთან, განმეორებით

ამასთან დაკავშირებით, 2019 წლის 27 აგვისტოს შედგა შემოწმების აქტი #000068/შ და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა. კომპანიას ასევე მიეცა ხელახალი მითითება და მის შესასრულებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა. დეტალური ინფორმაცია გაცემული მითითების შესახებ, იხილეთ დანართში (მითითება #000252/ო, თარიღი 27.08.2019).

ცენტრალური საწყობის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება და გონივრული დრო მის შესასრულებლად.

4. 2018 წლის 15-18 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის კუთვნილებაში არსებული წყალსადენის პირველადი ინსპექტირება. მისი მიზანი იყო ობიექტზე არსებული ვითარების „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობის დადგენა.

პირველი ინსპექტირების შედეგად, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის კუთვნილებაში არსებულ წყალსადენზე გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების მიერ შედგენილ N 000093/ო (18.12.2018) მითითებაში. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პირველადი შემოწმების დროს ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის წყალსადენზე გამოვლენილი იყო შემდეგი დარღვევები:

1. ინსპექტირების დროს გამოთხოვილ იქნა და ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომელებიც უნდა განმხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს; ასევე, საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რაშიც იგულისხმება სამუშაო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირება/გამოვლენა, რისკის სიდიდის/მნიშვნელობის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მაგალითისთვის, ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა შემდეგი საფრთხისშემცველი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრა და შემცირება აუცილებელია დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროფესიული დაავადებები, საწარმოო ტრამვები და უბედური შემთხვევები:

- წყალსადენის წყალსაქაჩ განყოფილებაში დარღვეული იყო ელექტრო უსაფრთხოების წესები. კერძოდ: ელ. კაბელების გადაბმის და შეერთების ადგილები არ არის შეფუთული დადგენილი წესით;

მითითებაში სწორედ მე-6 მუხლის მე-3 პუნქტია აღნიშნული. ამიტომ, წინამდებარე ანგარიშში, მოცემულ შემთხვევაში, მითითებულია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი და არა მე-2 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი სამართალდარღვევის ოქმის (000252)შესაბამისად.

- ორგანიზაციამ წარმოადგინა ხმაურზე და მტვერზე გაზომვების ჩანაწერები, თუმცა მზომი ხელსაწყოები არ იყო დაკალიბრებული და მას არ ჰქონდა შესაბამისი ორგანოს დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მის გამართულობას. ასევე, ინსპექტორების მიერ მოხდა ხმაურის დონის გაზომვა, სადაც აღინიშნებოდა მომეტებული ხმაურის დონე: N4 საამქროს უკან დაბრუნებული წყლის სატუმბ სადგურში, გაზომვით დაფიქსირდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასაშვებზე მაღალი ხმაურის დონე.

2. ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ იყო განსაზღვრული დასაქმებული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე.

3. წყალსადენის მთავარ და დამხმარე ტერიტორიაზე წყალსადენის წყალსაქაჩ განყოფილებაში არსებობს სიმაღლიდან ვარდნის საფრთხე და მოსაწყობია სიმაღლიდან ვარდნის საწინააღმდეგო მყარი მოაჯირები.

წყალსადენის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება და გონივრული დრო მის შესასრულებლად.
გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 26-27 ივნისს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის კუთვნილებაში <u>**არსებულ წყალსადენზე**</u> განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის <u>**განმეორებითი შემოწმება**</u>. მისი მიზანი იყო გაკონტროლებულიყო 2018 წლის 18 დეკემბერს გაცემული მითითების - #000093/ო - შესრულების მდგომარეობა.
27.08.2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით #000093/შ განისაზღვრა, რომ წყალსადენზე არ შესრულდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტს ,,ა-ვ'' ქვეპუნქტები'' და #000093/ო მითითების ერთ-ერთი პუნქტი.
აღნიშნული შეუსაბამობისათვის, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა და კომპანიას მიეცა ხელახალი მითითება - 000251/ო (27.08.2019), რომლის შესასრულებლადაც განისაზღვრა დამატებითი გონივრული ვადა. მითითების დეტალების შესახებ, იხილეთ დანართი.

5. 2018 წლის 2018 წლის 15-18 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**აჯამეთის კარიერის პირველადი ინსპექტირება.**</u> მისი მიზანი იყო ობიექტზე არსებული ვითარების „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობის დადგენა.

პირველი ინსპექტირების შედეგად, აჯამეთის კარიერზე გამოვლენილი შეუსაბამობების შესახებ ინფორმაცია მოცემულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების მიერ შედგენილ N 000105/ო (18.12.2018) მითითებაში. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პირველადი შემოწმების დროს აჯამეთის კარიერზე გამოვლენილი იყო შემდეგი დარღვევები:

1. ინსპექტირების დროს გამოთხოვილ იქნა და ორგანიზაციამ ვერ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომელებიც უნდა განმხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისთვის საჭირო სახსრებს; ასევე საფრთხეების იდენტიფიცირების და რისკების შეფასების დოკუმენტი, რაშიც იგულისხმება სამუშაო პროცესში წარმოქმნილი საფრთხეების იდენტიფიცირება/გამოვლენა, რისკის სიდიდის/მნიშვნელობის განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

მაგალითისთვის, ინსპექტირების პროცესში გამოვლინდა შემდეგი საფრთხისშემცველი ფაქტორები, რომელთა აღმოფხვრა და შემცირება აუცილებელია დასაქმებულთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროფესიული დაავადებები, საწარმოო ტრამვები და უბედური შემთხვევები.

- კარიერზე დარღვეული იყო ელექტრო უსაფრთხოების წესები. კერძოდ: მაღალი ძაბვის ელ. გამანაწილებელი კარადები ღია მდგომარეობაში იყო, არ იყო დაცული გარეშე პირთა შეღწევისაგან. დარღვეული იყო ელ. კაბელების გადაბმის და შეერთების ადგილები და დაბოლოებები.
- კონვეირის ოპერატორის ჯიხურთან არ იყო მოაჯირი, რაც ქმნიდა სიმაღლიდან ვარდნის საფრთხეს.

2. ორგანიზაციამ წარმოადგინა ხმაურზე გაზომვების ჩანაწერები, თუმცა, მზომი ხელსაწყო არ იყო დაკალიბრებული და მას არ ჰქონდა შესაბამისი ორგანოს დოკუმენტი რომელიც დაადასტურებდა მის გამართულობას. ასევე, ინსპექტორების მიერ მოხდა ხმაურის დონის გაზომვა, სადაც აღინიშნებოდა მომეტებული ხმაურის დონე: კარიერზე საშუალო ნამსხვრევის და დახარისხების კორპუსში, (103 db), რაც ქმნიდა სმენის დაქვეითებისა და სმენის დაკარგვის რისკს. ასევე, საწარმოო სათავსებში არ იზომებოდა და კონტროლდებოდა მიკროკლიმატის პარამეტრი სანიტარული ჰიგიენური ნორმების შესაბამისად.
3. ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ იყო განსაზღვრული დასაქმებული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა განეხორციელებინა ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე.
4. დასაქმებულებთან და შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დასაქმებულები პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას გადიოდნენ მათი სურვილისამებრ და არ ხდებოდა მისი ორგანიზება.
5. კონვეირის ოპერატორის ჯიხურთან, სადაც გადაადგილება უწევს ოპერატორს მოეწყოს, არ იყო მოწყობილი, რაც აუილებელია სიმაღლიდან ვარდნის საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

აჯამეთის კარიერის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება და გონივრული დრო მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 26-27 ივნისს განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის მფლობელობაში არსებული <u>**აჯამეთის კარიერის განმეორებითი შემოწმება**</u>. იგი განახორციელა შრომის პირობების ისპექტირების დეპარტამენტმა და მისი მიზანი იყო 2018 წლის 18 დეკემბერს გაცემული #000105 მითითების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

აჯამეთის კარიერი მდებარეობს თერჯოლის რაიონში, სოფელ ნახშირღელეში.
შემოწმების შედეგად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, დაადგინა, რომ აჯამეთის კარიერზე დარღვეული იყო ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტები და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა-ვ'' ქვეპუნქტები.
გამოვლენილი დარღვევების შესახებ, 2019 წლის 27 აგვისტოს შედგა შემოწმების აქტი #000105/შ და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებული იქნა ჯარიმა. კომპანიას მიეცა ხელახალი მითითება (იხ. დანართი: 000250/ო) და გონივრული დრო აჯამეთის კარიერზე შესაბამისი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

6. 2018 წლის 19 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ დარკვეთში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>დარკვეთის მაღაროს პირველი ინსპექტირება.</u> მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

პირველი შემოწმების შედეგად გამოვლინდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' იმ დროს მოქმედი კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების, მე-2 პუნქტის ,,ზ'', ,,თ'' და ,,ი'' ქვეპუნქტების დარღვევა. კერძოდ, პირველი მითითებით (მითითებაN000098/ო), რომელიც გამოიცა 2018 წლის 18 დეკემბერს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ:

- კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავს ობიექტზე არსებულ რეალობას, კერძოდ, არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებ საშიში ფაქტორებით. მაგალითად: დარკვეთის მაღაროში ინსპექტირების დროს დაფიქსირდა შემდეგი დარღვევები:
  - მე–5 უბანზე, ნომერ 2 შტრეკში დარღვეულია ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების წესები;
  - დასაქმებულები არ იყენებენ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებს და სპეცტანსაცმელს;
  - ვაგონების გამოსატანი ჯალამბარი დამცავი მექანიზმის გარეშეა;
  - გამოიყენება კუსტარულად დამზადებული ხის კიბეები;
  - ნათურებზე მიერთებული ელექტროსადენები ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს;
  - მე–19 შტრეკის რიგ ადგილებში არ არის სრულყოფილი სპეც. პროფილით გადამაგრება. არ არის საკმარისი რაოდენობის ხამუტები. უნდა იყოს მინიმუმ 2 ცალი მაინც თითო გამაგრების ადგილზე;
  - დარღვეულია მაღალი წნევის ქვეშ ჩაჭირხნული ბალონების ექსპლუატაციისა და დასაწყობების წესები (ბალონები ვადაგასულია);
  - დარღვეულია ელექტრო უსაფრთხოება, ელ-გამანაწილებელი კარადები, ელ-გაყვანილობა რიგ ადგილებში შეუფუთავია და ღია მდგომარეობაშია;

- ელ-მომსახურე პერსონალი და ელმავლები არ არის სრულად არჭურვილი ვადიანი დიელექტრიკული დამცავი საშუალებებით (რეზინის ხელთათმანი, მაღალი ძაბვის ინდიკატორი და ა.შ.);
- ფეთქებად ნივთიერებების განყოფილებაში მიღება-ჩაბარების აღმრიცხველის ოთახში დგას ღია სპირალიანი გამათბობელი, საწარმოს ტერიტორიაზე (ვაგონ გადამყივარებელთან) გამოიყენება ხის კუსტარული კიბე.
- მედ–პუნქტის კარადის კარი ღია მდგომარეობაშია, იატაკი არაერთგვაროვანია და დაზიანებულია, მოსაწესრიგებელია სანიტარული წერტილები;
- ობიექტზე არ არის განთავსებული საველე ტიპის საკაცე;
- საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ვაგონების გადმომყირავებლებთან მოსაწყობია დამცავი ჯებირები და იატაკი;
- მაღალი ძაბვის ქვესადგურში ტრანსფორმატორის შენობის კარი არ არის ჩაკეტილი, რაც მიზნად უნდა ისახავდეს გარეშე პირთა შეღწევის პრევენციას;
- სახელოსნოში საშემდუღებლო სამუშაოების წარმოებისათვის არ არის მოწყობილი ლოკალური გამწოვი სისტემა;
- ობიექტზე არ ხორციელდება სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მავნე აეროზოლების კონცენტრაციის გაზომვა;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ დასაქმებულებზე და არ დაუშვას ასეთ მდგომარეობაში მყოფი დასაქმებული სამუშაოზე;
- დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელ ზომებს. არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- დარკვეთის მაღაროს საბაგირო საოპერატორო კეთილმოსაწყობია. სატვირთო საბაგიროზე დასაქმებულები არ გამოიყენებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს. არ არის განთავსებული სააფთიაქო ყუთი, ვერ იქნა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა. აღინიშნება ხმაური და ვიბრაცია;
- დასაქმებულთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წვიმის დროს კაბინაში ჩამოდის წყალი;
- დარღვეულია ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების წესები;
- ობიექტზე არ არის შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა;
- მაღაროს ტერიტორიაზე განთავსებულია საწყობის შენობა, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს. შენობა არის ამორტიზებული და არსებობს ნგრევის საფრთხე. საჭიროა აღნიშნული შენობის დემონტაჟი ან იზოლირება;

დარკვეთის მაღაროზე გამოვლენილი დარღვევების გამოსასწორებლად შრომის პიროებების ინსპექტირების დეპარტამენტმა გამოსცა მითითება და კომპანიას მიეცა გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 19 ივნისს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **<u>დარკვეთის მაღაროს</u>** <u>განმეორებითი შემოწმება.</u>

შემოწმების საფუძველზე, 2019 წლის 27 აგვისტოს შედგა შემოწმების აქტი #000263 შ, რომლითაც განისაზღვრა, რომ დარკვეთის მაღაროზე პირველი შემოწმების დროს გაცემული მითითებების უმრავლესობა კომპანიის მიერ შესრულდა, თუმცა, არ შესრულდა მისი ერთ-ერთი პუნქტი, რომელიც უკავშირდება დასაქმებულის ვალდებულებას - დადგენილი პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები.
შემოწმების აქტში, მითითებაში და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში (მათი ხარვეზების გამო) არ ჩანს თუ რა სახის სანქცია დააკისრა დეპარტამენტმა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' დარკვეთის მაღაროს ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევისათვის, თუმცა, ცხადია, რომ კომპანიას მიეცა ხელახალი მითითება (000263/ო, თარიღი: 27.08.2019) და განესაზღვრა დამატებითი ვადა მის შესასრულებლად.

7. 2018 წლის 17 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ იხთვისში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**იხთვისის მაღაროს პირველი ინსპექტირება**</u>. მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

შემოწმების შედეგად, იხთვისის მაღაროს ტერიტორიაზე გამოვლინდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' იმ დროს მოქმედი კანონის მრავლობითი დარღვევა, რის საფუძველზეც, გაიცა შესაბამისი მითითება, (N000100/ო), რომელიც მოიცავდა დარღვევების გამოსასწორებლად გასატარებელი ქმედებების 8 პუნქტს.

<u>პირველი მითითებით</u> (N000100/ო შედგენის თარიღი: 18.12.2018) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ იხთვისის მაღაროზე არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებ საშიში ფაქტორებით. მაგალითად: ითხვისის მაღაროში ინსპექტირების დროს დაფიქსირდა შემდეგი სახის დარღვევები:

- მე-10 ნომერ შტრეკში და მე-3 ნომერ უბანზე სპეც. აღჭურვილობის გარეშეც შეიგრძნობოდა მომეტებული ტემპერატურა და არასაკმარისი ვენტილაცია.
- ვაგონების გამოსატან ჯალამბარს არ ჰქონდა დამცავი მექანიზმი;
- დარღვეული იყო მაღალი წნევის ქვეშ ჩაჭირხნული ბალონების ექსპლოატაციისა და დასაწყობების წესები (ბალონები ვადაგასული იყო);
- ვაგონების გადმომყირავებლებთან დადგინდა ჭერის გამაგრების საჭიროება (ბეტონის ჩამოშლის საფრთხე). ასევე, ამ მექანიზმებთან მოსაწყობი იყო დამცავი ჯებირები;
- დარღვეული იყო ელექტრო უსაფრთხოება. ელ-გამანაწილებელი კარადები და ელ-გაყვანილობა რიგ ადგილებში იყო შეუფუთავი და ღია მდგომარეობაში. ელ-მომსახურე პერსონალი და ელმავლები არ იყო სრულად აღჭურვილი ვადიანი დიელექტრიკული დამცავი საშუალებებით (რეზინის ხელთათამანი, მაღალი ძაბვის ინდიკატორი და ა.შ.);
- ფეთქებადი ნივთიერებების განყოფილებაში მიღება-ჩაბარების აღმრიცხველის ოთახში იდგა ღია სპირალიანი გამათბობელი. ასევე, ამ განყოფილებაში ჩასასვლელ კიბესთან დაფიქსირდა ღიად განთავსებული ელ-ამომრთველი, რომლის

საექსპლუატაციო პირობები არ შეესაბამებოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;

- საწარმოს ტერიტორიაზე (ვაგონ გადამყირავებელთან) გამოიყენებოდა ხის კუსტარული კიბე. ამავე ტერიტორიაზე განთავსებული ამწე-კაბინა საჭიროებდა მოწყობასა და შემინვას სტანდარტის შესაბამისად;
- ობიექტზე ელ-ენერგიასთან შეხებაში მყოფი დასაქმებულები არ იყვნენ აღჭურვილნი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ვადიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დიელექტრიკული ხელთათმანი, მაღალი ძაბვის ინდიკატორი);
- ასევე, დასაქმებულები სრულად არ იყვნენ აღჭურვილნი სპეც ტანსაცმლით;
- საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ვაგონების გადმომყირავებლებთან დაფიქსირდა დამცავი ჯებირებისა და იატაკის მოწყობის საჭიროება;
- მაღალი ძაბვის ქვესადგურში ტრანსფორმატორის შენობის კარი საჭიროებდა ჩაკეტვას, რათა არ მომხდარიყო მასში გარეშე პირთა შეღწევა;
- სახარატო ოთახში ექსპლუატაციაში მყოფი საბურღი დანადგარის და სახარატო დაზგის მბრუნავ მექანიზმს არ ჰქონდა დამცავი ხუფი. ასევე, დამცავის გარეშე გამოიყენებოდა ვაგონების შემკეთებელ საამქროში ტვირთ-ამწე მექანიზმი (ჯალამბარი);
- სახელოსნოში საშემდუღებლო სამუშაოების წარმოებისთვის არ იყო მოწყობილი ხელოვნური ასპირაციული სისტემა;
- ობიექტზე არ ხორციელდებოდა სამუშაოს გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მავნე აეროზოლების კონცენტრაციის გაზომვა;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ იყო განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა განეხორციელებინა ზედამხედველობა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფ დასაქმებულებზე და არ დაეშვა ასეთ მდგომარეობაში მყოფი დასაქმებულები სამუშაოზე;
- კომპანია არ ახორციელებდა პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არ ხორციელდებოდა დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;
- ითხვისის მაღაროს საბაგიროს საოპერატორო საჭიროებდა კეთილმოწყობას. სატვირთო საბაგიროზე დასაქმებულები არ გამოიყენებდნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს, არ იყო განთავსებული სააფთიაქო ყუთი, ვერ იქნა წარმოდგენილი საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა.

ჩამოთვლილი დარღვევების გამოსასწორებლად, კომპანიას მიეცა მითითება და გონივრული ვადა.

გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 18 ივნისს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი **<u>ითხვისის მაღაროს</u>**<u>განმეორებითი ინსპექტირება.</u> მისი მიზანი იყო ადგილზე შრომის უსაფრთხოების ნორმების შემოწმება და 2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიის მიმართ გაცემული მითითების (#000100/ო) შესრულების მდგომარეობის კონტროლი.

შემოწმების აქტით #000100/შ (თარიღი 27.08.2019) განისაზღვრა, რომ იხთვისის მაღაროს ტერიტორიაზე არ გამოსწორდა თავდაპირველი მითითების #1, #2, #4 და #7 პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევები. ეს, მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს, რომ შემოწმების აქტით დადგინდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტებისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' და ,,თ'' ქვეპუნქტების დარღვევა (შეუსრულებელი მითითებების პუნქტების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ, შემდგომ ქვეთავებში, კანონის შესაბამის მუხლებთან ერთად).

იხთვისის მაღაროს <u>განმეორებითი შემოწმების</u> შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები, ძირითადად, უკავშირდებოდა:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების დარღვევას;
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვის ვალდებულების დარღვევას;
- საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმების, გაზომვისა და შეფასების ვალდებულების დარღვევას;
- დასაქმებულთათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობას;

იხთვისის მაღაროს <u>განმეორებითი შემოწმებისას</u> გამოვლენილი დარღვევები დაფიქსირდა შემოწმების აქტში და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა და დარღვევების გამოსასწორებლად გაიცა მითითება #000214/ო (თარიღი: 27.08.2019 იხ. დანართი).

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-42/ო ბრძანების საფუძველზე 2018 წლის 19 ოქტომბერს განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის <u>თავდაპირველი შემოწმება</u> შპს „ჯორჯიან მანგანეზი“- ს **<u>ბიგების ჩიხში.</u>**

შემოწმების შედეგად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ბიგების ჩიხის ტერიტორიაზე გამოავლინა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' იმ დროს მოქმედი კანონის მრავლობითი დარღვევები. ბიგების ჩიხის <u>შემოწმების</u> შედეგებზე დაყრდნობით, დეპარტამენტმა გამოსცა მითითება (N000097/ო, თარიღი 18.12.2018), დარღვევების აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულ მითითებაში დეპარტამენტის მიერ ხაზგასმულია, რომ:

- შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ბიგების ჩიხში არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებ საშიში ფაქტორებით. მაგალითად: ბიგების ჩიხში არ ხორციელდება კონტროლი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე, დარღვეულია მაღალი წნევის ქვეშ ჩაჭირნახული ბალონების ექსპლოატაციისა და დასაწყობების წესები. დარღვეულია ბალონების ექსპლოატაციის ვადები, რაც წარმოადგენს აფეთქების საფრთხეს. არ არის სააფთიაქო ყუთები.

- საწარმოს ტერიტორიაზე დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს დასაქმებულებს სრულყოფილი სწავლებით/ტრენინგებით საგანგებო სიტუაციებში, საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული სწავლებების განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად;
- ობიექტზე მისასვლელ ხიდს არ გააჩნია მოაჯირები;
- დარღვეულია ბიგების დასაწყობების წესები, არსებობს ვარდნის საფრთხე;
- ამწის საშუალების ატვირთვა-ჩამოტვირთვის სამუშაოები მიმდინარეობს პროცედურების დარღვევით, კერძოდ, არ გამოიყენება სასიგნალო სისტემა და დასაქმებულები გადაადგილდებიან ტვირთის ქვეშ;
- ობიექტზე არ ხორციელდება სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის კონცენტრაციის გაზომვა;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე;
- დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელ ზომებს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;

ბიგების ჩიხში გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიმართ გაიცა მითითება და კომპანიას დაენიშნა გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 18 ივნისს შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>ბიგების ჩიხში</u> განხორციელდა შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის <u>განმეორებითი შემოწმება</u>.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, შემოწმების აქტითა (#000262შ თარიღი: 27.08.2019) და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის გზით, დაადგინა, რომ კომპანიის მიერ არ შესრულდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ..ა'' ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა-დ'' მოთხოვნები.

პირველადი შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევებიდან ბიგების ჩიხის <u>განმეორებითი ინსპექტირებისას</u> დეპარტამენტმა კვლავ დააფიქსირა საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებებთან, საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმებასთან, გაზომვასთან და შეფასებასთან და საგანგებო სიტუაციებისა და საევაკუაციო ღონისძიებების თაობაზე სწავლებასთან დაკავშირებული შეუსაბამობები.

გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, კომპანია დაჯარიმდა და მას მიეცა ახალი მითითება (000262/ო - იხ. დანართი), რომლის შესასრულებლადაც განესაზღვრა გონივრული ვადა.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 10 აგვისტოს N 01-42/ო ბრძანების საფუძველზე, 2018 წლის 17 ოქტომბერს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ მღვიმევში განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **<u>მღვიმევის მაღაროს თავდაპირველი შემოწმება.</u>** მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლი.

აღნიშნული შემოწმების დროს მღვიმევის მაღაროს ტერიტორიაზე გამოვლინდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' იმჟამად მოქმედი კანონის მრავლობითი დარღვევები. შედეგად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა გამოსცა მითითება (N000092/ო, შედგენის თარიღი 18.12.2018) და კომპანიას განუსაზღვრა გონივრული ვადა კანონთან შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად.

გაცემულ მითითებაში, გამოვლენილი დარღვევების შესახებ, აღნიშნულია რომ:

- მღვიმევის მაღაროს ტერიტორიაზე არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებ საშიში ფაქტორებით. მაგალითად:
  - მღვიმევის მაღაროში მრავალ ადგილას ფიქსირდება გვირაბის, როგორც გვერდითი, ასევე ჭერის სამაგრი ბიგების დაზიანება. დარღვეულია ელ-უსაფრთხოება;
  - სახელოსნოში, საკომპრესოროში, ელ-დეპოს სარემოტოში, დარღვეულია ელ-უსაფრთხოება. მაღალი ძაბვის ქვესადგურში არ არის განათება, ამავე ქვესადგურში ფიქსირდება ჩასავარდნი ადგილები;
  - ვერ იქნა წარმოდგენილი პირველადი დახმარების სამედიცინო საშუალებები.
  - ფუჭი ქანის ჩაყრის ადგილას განთავსებულ საცერზე, მაღალი რისკის ქვეშ პლევმატური უროთი დასაქმებულები გადადიან საცერის ზედაპირზე, სადაც ახორციელებენ უგაბარიტო ქანის მასების დაქუცმაცებას;
- ობიექტზე ელ-ენერგიასთან შეხებაში მყოფი დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ვადიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დიელექტრიკული ხელთათმანი, მაღალი ძაბვის ინდიკატორი);
- საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ ვაგონების გადმომყირავებლებთან მოსაწყობია დამცავი ჯებირები და იატაკი;
- #2 ტრანსფორმატორის შენობას არ აქვს გარეშე პირთა შეღწევისაგან დამცავი კარი;
- სახელოსნოში საშემდღებლო სამუშაოების წარმოებისთვის არ არის მოწყობილი ხელოვნური ასპირაციური სისტემა;
- ობიექტზე არ ხორციელდება სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მავნე აეროზოლების კონცენტაციის გაზომვა;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე;
- დამსაქმებელი არ ახორციელებს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;

- მღვიმევის მაღაროს საბაგიროების საოპერატოროში დარღვეულია ელექტრო უსაფრთხოების წესები - სადენები არ არის შეფუთული, გამოიყენება კუსტარული გამათბობელი;
- სატვირთო საბაგიროს საოპერატოროში არ არის უზრუნველყოფილი ტემპერატურული კონტროლი არ გამოიყენებენ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებს.
- არ არის განთავსებული სააფთიაქო ყუთი, არ არის შემუშავებული საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა;

გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა გამოსცა შესაბამისი მითითება და კომპანიას განუსაზღვრა გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 17 ივნისს განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**მღვიმევის მაღაროს** განმეორებითი შემოწმება</u>, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლისა და 2018 წლის 18 დეკემბერს გაცემული #000092/ო მითითების შესრულების მდგომარეობის დასადგენად. განმეორებითი შემოწმების შედეგად შედგენილი აქტისა და მითითების #000212/ო (27.08.2019) შედეგად, ირკვევა, რომ მღვიმევის მაღაროს ტერიტორიაზე არ შესრულდა თავდაპირველი მითითების #1, #2, #3, #4 და #7 პუნქტები (7-დან 5). ეს, მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს, რომ მღვიმევის მაღაროს ტერიტორიაზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტები, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'', ,,ზ'' და ,,თ'' ქვეპუნქტები (ვრცლად, შეუსრულებელი მითითებების შინაარსის შესახებ, იხილეთ შემდგომ ქვეთავებში).

განმეორებითი შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევები, ძირითადად, დაკავშირებული იყო:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებებთან;
- საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმებასთან, გაზომვასთან და შეფასებასთან;
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვასთან;
- ვაგონების გადმომყირავებლის დამცავ ბარიერებთან;
- იატაკის საფართან;
- ტრანსფორმატორის სივრცეში გარეშე პირთა შეღწევის პრევენციასთან;
- სახელოსნოში გამწოვ სისტემასთან;
- და დასაქმებულთა წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებასთან;

განმეორებითი ინსპექტირებისას მღვიმევის მაღაროში გამოვლენილი შეუსაბამობების გამო, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზი'' დააჯარიმა და მისცა დამატებითი ვადა ხელახალი მითითების #000212/ო (მითითება იხ. დანართის სახით) შესასრულებლად.

10. 2018 წლის 18 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს.

,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,კაციტაძეების საკარიერო უბნის''** თავდაპირველი ინსპექტირება. მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' **პირველი შემოწმების,** შედეგად, დეპარტამენტის მიერ გაცემული მითითებიდან ირკვევა, რომ ობიექტზე გამოვლენილი იქნა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' იმჟამად მოქმედი კანონის მრავლობითი დარღვევები. კერძოდ, პირველი შემოწმების შედეგად გაცემულ მითითებაში (N000102/ო, თარიღი 18.12.2018), გამოვლენილი დარღვევების თაობაზე, აღნიშნულია შემდეგი:

- ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო და ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- „კაციტაძეების" კარიერზე დასაქმებულები არ გამოიყენებენ ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებს, არ ხდება მავნე ფიზიკური ფაქტორების გაზომვა, დარღვეულია ელექტრო და სახანრო უსაფრთხოების წესები;
- დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილნი საყოფაცხოვრებო ფართებით, არ აქვთ საპირფარეშო და სასადილო;
- ოპერატორის კაბინა ამორტიზირებულია, დარღვეულია ელ-უსაფრთხოება;
- დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- მაბიჯებელ ექსკავატორზე „HKM3" ვერ იქნა წარმოდგენილი მაღლივი სამუშაოებისთვის განკუთვნილი დამცავი ქამარი. ასევე, ამ მექანიზმზე არსებული დიელექტრიკული შტანგების ვარგისიანობა არ არის დამოწმებული ლაბორატორიულად;
- ობიექტზე ვერ იქნა წარმოდგენილი ფიზიკური ფაქტორების გაზომვის შესახებ ინფორმაცია: საწარმოო ხმაურის, ტემპერატურის, ჰაერის მოძრაობის სიჩქარის, ტენიანობის და ვიბრაციის;
- ობიექტზე ვერ იქნა წარმოდგენილი სწავლება-ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე;
- დამსაქმებელი არ ახორციელებს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება;

გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, დეპარტამენტმა კომპანიის მიმართ გასცა მითითება და დაუნიშნა გონივრული ვადა მათ შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში განხორციელდა შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,კაციტაძეების საკარიერო უბნის''** განმეორებითი შემოწმება. მისი მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კონტროლი და 2018 წლის 18 დეკემბერს გაცემული N000102/ო მითითების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამეტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით #000265შ (27.08.2019) და #000265/ო მითითებით დგინდება, რომ აღნიშნულ ობიექტზე არ შესრულდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების, ამავე მუხლის მესამე[2] პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მეორე პუნქტის მოთხოვნები (გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაცია მუხლობრივად წარმოდგენილია შემდეგ ქვეთავებში).

განმეორებითი შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები, ძირითადად, დაკავშირებულია:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებებთან;
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვასთან;
- საწარმოო და ფიზიკური გარემოს შემოწმებასთან, გაზომვასთან და შეფასებასთან;
- საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ დასაქმებულთა სწავლებასა და ინსტრუქტაჟის ვალდებულებასთან დაკავშირებული შეუსაბამობები.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, კომპანიის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებული იქნა ჯარიმა და შპს ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა დამატებითი ვადა და მითითება (#000265/ო - თარიღი: 27.08.2019) დარღვევების აღმოფხვრის მიზნით (იხ. დანართი).

11. 2018 წლის 18 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ რგანში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული ,,**#27 საკარიერო უბნის''** თავდაპირველი ინსპექტირება. მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

პირველადი შემოწმების, შედეგად, დეპარტამენტის მიერ გაცემული მითითებიდან ირკვევა, რომ ობიექტზე გამოვლენილი იქნა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' იმჟამად მოქმედი კანონის მრავლობითი დარღვევები. კერძოდ, პირველადი შემოწმების შედეგად შედგენილ მითითებაში (0000104/ო, თარიღი 18.12.2018), გამოვლენილი დარევების შესახებ აღნიშნულია, რომ:

---

[2] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში, შემოწმების აქტსა და მითითებაში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი. აღნიშნული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, აღნიშნული ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. მითითებული ქვეპუნქტები აქვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' ძალადაკარგული კანონის შესაბამის პუნქტს. ამასთან ორგანული კანონისა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი და ძალადაკარგული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი იდენტური შინაარსისაა, კერძოდ, ეხება დამსაქმებლის ვალდებულებას, დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ვინაიდან გაცემული მითითება სწორედ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას უკავშირდება, მიგვაჩნია, რომ შესაბამის აქტებში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის ნუმერაციის ნაცვლად, შეცდომით მითითებულია ძველი ნუმერაცია.

- ,,#27 საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხეების შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებსაშიში ფაქტორებით.
- საკარიერო უბან #27-ზე დასაქმებულები არ გამოიყენებენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს. დარღვეულია ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოების წესები;
- დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილნი საყოფაცხოვრებო ფართებით, არ აქვთ საპირფარეშო და სასადილო;
- კარიერზე ექსპლუატაციაში მყოფი მაღალ ძაბვაზე მომუშავე ელექტრო ექსკავატორი "ЭКГ" დასაკომპლექტებელია ვადიანი დიელექტრიკული დამცავი საშუალებით. ასევე, ამ მექანიზმებში ხშირ შემთხვევაში მოხსნილია მუშა მდგომარეობაში მბრუნავი და ძაბვის ქვეშ მყოფი მექანიზმებისგან დამცავი ბარიერი. დაზიანებულია ზემოხსენებულ მექანიზმზე პლატფორმები და მოაჯირები;
- ავტოტექნიკის დატვირთვის დროს მძღოლები იმყოფებიან ამავე ტექნიკის კაბინებში;
- დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- ობიექტზე ელ-ენერგიასთან შეხებაში მყოფი დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე ვადიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (დიელექტრიკული ხელთათმანი, მაღალი ძაბვის შტანგა და ინდიკატორი);
- ობიექტზე ვერ იქნა წარმოდგენილი ფიზიკური ფაქტორების გაზომვები: საწარმოო ხმაურის, ტემპერატურის, ჰაერის მოძრაობის სიჩქარის, ტენიანობის და ვიბრაციის;
- ობიექტზე ვერ იქნა წარმოდგენილი სწავლება-ინსტრუქტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ობიექტზე შიდამარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე;
- დამსაქმებელი არ ახორციელებს პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად აუცილებელ ზომებს;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

#27 საკარიერო უბნის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე და მათ აღმოსაფხვრელად გამოცემული იქნა შესაბამისი მითითება და კომპანიას მიეცა გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **#27 საკარიერო უბნის** ტერიტორიაზე განხორციელდა შრომის პირობების **განმეორებითი შემოწმება.**

დეპარტამენიტის მიერ შედგენილი მითითებით #000264/ო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტითა და შემოწმების აქტით #000264შ (თარიღი: 27.08.2019) განისაზღვრა, რომ კომპანიამ არ შეასრულა თავდაპირველი მითითება და ადგილზე დარღვეული იყო ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-5 მუხლის

პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტები და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის[3] ,,ზ'' ქვეპუნქტი. ობიექტის განმეორებითი შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები, ძირითადად, დაკავშირებული იყო:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებებთან;
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვასთან;
- საწარმოო და ფიზიკური გარემოს შემოწმებასთან, გაზომვასთან და შეფასებასთან;
- საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ დასაქმებულთა სწავლებასა და ინსტრუქტაჟის ვალდებულებასთან;

აღნიშნული შეუსაბამობების გამო, კომპანიის მიმართ გამოყენებული იქნა ადმინისტრაციული სახდელი, მას მიეცა დამატებითი ვადა და მითითება დარღვევების გამოსასწორებლად (იხ. დანართი - მითითება #000264/ო).

12. 2018 წლის 15-19 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუქრუთში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,შუქრუთის მაღაროს'' თავდაპირველი ინსპექტირება**. მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

აღნიშნული ინსპექტირებისას გამოვლენილი იქნა მთელი რიგი დარღვევები და მათ აღმოსაფხვრელად გაიცა მითითება (N000044/ო, შედგენის თარიღი 17.12.2018). პირველად მითითებაში (N000044/ო), დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევების თვალსაზრისით, აღნიშნულია, რომ:

- შუქრუთის მაღაროს ტერიტორიაზე არ ხორციელდება სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და მათგან მომდინარე რისკების შეფასება და მართვა;
- შრომითი აქტივობისას არ არის გათვალისწინებული საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების რისკი - დასაქმებულები ტვირთის (ბიგები, ვაგონები და სხვა) გადაადგილებას ახორციელებენ ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით. ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პროცესების მექანიზაციას და მძიმე ტვირთის გადასატანი დამხმარე მექანიზმებით პერსონალის მხარდაჭერას. დასაქმებულებს არ აქვთ გავლილი სწავლება ტვირთის ხელით გადაადგილებასთან დაკავშირებით;

[3]დეპარტამენტის მიერ გამცემულ შემოწმების აქტში, გაცემულ მითითებაში და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი. აღნიშნული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, აღნიშნული ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. მითითებული ქვეპუნქტები აქვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' ძალადაკარგული კანონის შესაბამის პუნქტს. ამასთან ორგანული კანონისა მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი და ძალადაკარგული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი იდენტური შინაარსისაა, კერძოდ, ეხება დამსაქმებლის ვალდებულებას, დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ვინაიდან გაცემული მითითება სწორედ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას უკავშირდება, მიგვაჩნია, რომ შესაბამის აქტებში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის ნუმერაციის ნაცვლად, შეცდომით მითითებულია ძველი ნუმერაცია.

- მაღაროს გვირაბებში და სანგრევებზე არ არის უზრუნველყოფილი ადეკვატური განიავება. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა გამორთული და გაუმართავი ლოკალური სავენტილაციო დანადგარები (ვერ მოხერხდა მათი ამუშავება);
- სამუშაო ადგილები და სივრცეები დატბორილია - არ წარმოებს წყლის ამოტუმბვა (დაზიანებულია სატუმბი დანადგარი);
- ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ტექნიკური აღჭურვილობის (გამშვები, სკრეპერის მანქანა, ელმავალი, ტელფერი) უსაფრთხოების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასაფეთქებელი მასალის საწყობის მეხდაცვის დამიწება არ არის შემოწმებული ომურ წინაღობაზე - კომპანიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი საბუთი;
- საბურღ დანადგართან მუშაობისას პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანები, სამუხლეები, საიდაყვეები. გაურკვეველია საბურღი დანადგარის ტექნიკური მდგომარეობა - არ არსებობს უსაფრთხოების შემოწმების დოკუმენტაცია;
- სამუშაო სივრცეებში არ ხორციელდება სისტემატიური კონტროლი მავნე აეროზოლებზე. კერძოდ, ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოების პერიოდში და შემდგომ, მოპოვებისას არ ხორციელდება ჰაერში მავნე აეროზოლების და მტვრის კონცენტრაციის კონტროლი (როგორც მინიმუმ, ჟანგბადზე გაანგარიშებით). აღნიშნულს აქვს მხოლოდ პერიოდული ხასიათი - მოწვეული კომპანიის (კონტრაქტორი ორგანიზავია) მიერ და ვერ უზრუნველყოფს რეალური სურათის წარმოჩინებას;
- მიწისზედა ნაგებობები დამხმარე მეურნეობის (სარემონტო საამქროები, ქვესადგური, ადმინისტრაციული, სატვირთო საბაგირო, სახალხო საბაგიროს შენობა და სხვა) სათავსების შენობა-ნაგებობები საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს: იატაკის საფარველი არაერთგვაროვანია, დაზიანებულია ჭერი, კედლები, ფანჯრები;
- მოსასვენებელი ფართები ფარდულის ტიპისაა;
- ხმარებაშია ღია სპირალიანი კუსტარული გამათბობლები;
- დასაქმებულები გამოიყენებენ კუსტარულ ხის კიბეებს;
- დაზიანებულია ელექტრო გაყვანილობის სადენები, ისინი, ხშირ შემთხვევაში, მოშიშვლებულია. კარადები ღია მდგომარეობაშია - არ არის დახურული, დაკეტილი და ნიშანდებული - არ უზრუნველყოფს დასაქმებულთა უნებლიე კონტაქტის შეზღუდვას ელექტროობასთან. განათება არარაციონალურია, არადამაკმაყოფილებელი;
- საყირავზე მოძრავი მექანიზმები დამცავი ფარების გარეშეა;
- არ არის გატარებული გამტვერვის საწინააღმდეგო ღონისძიებები - დასამონტაჟებელია ასპირაციული სისტემები;
- ჩავარდნილი ადგილები შემოსაღობია, რაც ქმნის პერსონალის ჩავარდნის საფრთხეს;
- ქვესადგურზე არ არის უზრუნველყოფილი არაავტორიზებულ პირთა შეღწევის შეზღუდვა. ფანჯრები დაზიანებულია, იატაკი - არაერთგვაროვანი;
- საწარმოო სივრცეში განთავსებულია აზოტის ავზი;
- პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი დიელექტრიკული საშუალებებით;
- მაღალი ძაბვის ქვესადგური საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს . დიელექტიკური საშუალებები დაზიანებულია, განათება არარსრულყოფილია;

- სამუშაო ადგილები არ არის უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით; სანგრევებზე დასაქმებულები არ არიან მომარაგებულნი სააფთიაქო ყუთებით, საკმარისი რაოდენობის თვითმაშველებით;
- საშხაპეები საჭიროებს კოსმეტიკური სახის სარემონტო სამუშაოებს და სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავებას;
- სამედიცინო პუნქტში მოსაწერიგებელია ელექტროგაყვანილობა;
- საკვები პროდუქტები ინახება სამედიცინო პუნქტის საერთო ფართში;
- ადმინისტრაციას არ აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო გეგმები - გვირაბიდან უბედური შემთხვევისას პერსონალის ევაკუაციის წესი, ჩამჩეხავების ბუნკერიდან ევაკუაციის წესი და სხვა;
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტები, მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნები, რომლებმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;
- ამფეთქებელს დროის საკონტროლოდ არ ეძლევა საათი;
- განიავების უბანზე მომატებულია საწარმოო ხმაური;
- დასაქმებული არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - ხმაურმხშობებით. არ ხორციელდება მათი „დროით დაცვა“;
- საოპერატორო განთავსებულია საწარმოო სივრცეში, რაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულების დაცვას მავნე საწარმოო ფაქტორებისგან - ხმაური, არადამაკმაყოფილებელი მიკროკლიმატი;
- განიავების უბანთან არსებულ ქვესადგურს ესაჭიროება სარემონტო სამუშაოები; დაზიანებულია იატაკის საფარველი, კედლები, ელ-გამანაწილებელი კარადები ბარიერების გარეშეა; დიელექტრიკული საშუალებების ნაწილი დაზიანებულია, ნაწილი ვადაგასულია - საჭიროებს ლაბორატორიულ კონტროლს. განათება არადამაკმაყოფილებელია;
- ელექტროდანადგარების ექსპლოატაციისას არ არის გათვალისწინებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები;
- სპეც. ტანსაცმელი ირეცხება პერსონალის მიერ ოჯახის პირობებში;
- ყოველივე აღნიშნული აუარესებს დასაქმებულთა შრომის პირობებს.

<u>შუქრუთის მაღაროს</u> ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, კომპანიას მიეცა მითითება და გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ შუქრუთში, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>შუქრუთის მაღაროს</u> <u>განმეორებითი ინსპექტირება</u>. მისი მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლი და #000044/ო (თარიღი: 17.12.2018) მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული შემოწმების აქტით #000044, დგინდება, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზმა'' შუქრუთის მაღაროს ტერიტორიაზე არ შეასრულა ზემოაღნიშნული მითითების რამდენიმე პუნქტი და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ვ-ა'', ,,ვ-ბ'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტები და მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი''; მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტები და მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის

,,ა'' ქვეპუნქტი. ასევე, ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს მთავრობის #477-ე დადგენილების მე-5 და მე-14 მუხლები და ,,გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის #297/ნ ბრძანების მოთხოვნები.

განმეორებითი ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევები, ძირითადად, დაკავშირებული იყო:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებებთან;
- საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმებასთან, გაზომვასთან და შეფასებასთან;
- ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შეუმოწმებლობასთან;
- დაცვის და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობის ფუნქციონირებასთან;
- პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ზომების განუხორციელებლობასთან,
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვასთან;
- საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ დასაქმებულთა სწავლებასა და ინსტრუქტაჟის ვალდებულებასთან,
- მომატებული საწარმოო ხმაურისაგან დასაქმებულთა დაცვის ვალდებულების შეუსრულებლობასთან;

გამოვლენილი დარღვევების გამო, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზი'' დააჯარიმა და ასევე, მისცა განმეორებითი მითითება (#000249 თარიღი: 27.08.2019).

a. 2019 წლის 27 აგვისტოს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოიცა კიდევ ერთი მითითება (#000220), რომელიც უკავშირდებოდა ჭიათურაში, სოფელ შუქრუთში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული შუქრუთის მაღაროს ტერიტორიაზე ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის დარღვევას. დეპარტამენტის მითითებით (#000220) და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (#000220, თარიღი: 27.08.2019) დგინდება, რომ:
   შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილ შუქრუთის მაღაროზე 2019 წლის 13 ივლისს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, დაშავდა ერთი დასაქმებული: ,,თ.ჭ''.
   დამსაქმებელმა არ შეასრულა ვალდებულება და არ უზრუნველყო სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანგარიშგება ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის შესაბამისად. ასევე, ზედამხედველ ორგანოს არ შეატყობინა უბედური შემთხვევის შესახებ, რითაც დაირღვა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ.გ'' ქვეპუნქტი.

აღნიშნული დარღვევის გამო, კომპანიის მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის სახით, გამოყენებული იქნა ჯარიმა, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.

13. 2018 წლის 15-19 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,დევიძეების უბნის'' მაღაროს** თავდაპირველი ინსპექტირება. მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

,,დევიძეების უბნის'' მაღაროს **პირველადი ინსპექტირების** შედეგად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, გამოვლენილი იქნა, მთელი რიგი დარღვევებისა და მათ აღმოსაფხვრელად გაიცა მითითება (მითითება N 000054/ო, შედგენის თარიღი 17.12.2018).

მითითებაში (N 000054/ო), დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევების თვალსაზრისით, აღნიშნულია, რომ:

,,დევიძეების უბნის'' მაღაროში არ ხორციელდება სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და მათგან მომდინარე რისკების შეფასება და მართვა. კერძოდ:

- შრომითი აქტივობისას არ არის გათვალსწინებული საყრდენ - მამოძრავებელი სისტემის დაზიანების რისკი - დასაქმებულები ტვირთის (ბიგების) გადაადგილებას ახორციელებენ ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით. ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პროცესების მექანიზაციას და მძიმე ტვირთის გადასატანი დამხმარე მექანიზებით პერსონალის მხარდაჭერას. დასაქმებულებს არ ააქვთ გავლილი სწავლება ტვირთის ხელით გადაადგილებასთან დაკავშირებით;
- მაღაროს გვირაბებში და სანგრევებზე არ არის უზრუნველყოფილი ადეკვატური განიავება. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა გამორთული და გაუმართავი ლოკალური სავენტილაციო დანადგარები;
- სამუშაო ადგილები და სივრცეები დატბორილია - არ წარმოებს წყლის ამოტუმბვა;
- ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ტექნიკური აღჭურვილობის (გამშვებები, სამთო მანქანები) უსაფრთხოების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ასაფეთქებელი მასალის საწყობი არ არის უზრუნველყოფილი მეხდაცვის სისტემით;
- საბურღ მანქანასთან მუშაობისას პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით - გაურკვეველია ბურღის ტექნიკური მდგომარეობა;
- სამუშაო სივრცეებში არ ხორციელდება სისტემატური კონტროლი მავნე აეროზოლებზე. კერძოდ, ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოების პერიოდში და შემდგომ, მოპოვებისას არ ხორციელდება ჰაერში მავნე აეროზოლების და მტვრის კონცენტრაციის კონტროლი. აღნიშნულს აქვს მხოლოდ პერიოდული ხასიათი - მოწვეული სამთო მაშველი სამსახურის მიერ და ვერ უზრუნველყოფს რეალური სურათის წარმოჩინებას;

- სამუშაო ადგილები არ არის უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით. დასაქმებულები არ არიან სრულად უზრუნველყოფილი თვითმაშველებით;
- საკვები პროდუქტების შესანახი მაცივარ-დანადგარი საჭიროებს დასუფთავებას - თაროები დაბინძურებულია;
- ავტოგასამართი სადგური არ არის უზრუნველყოფილი მეხდაცვის სისტემით. მიმდებარე ტერიტორია დაბინძურებულია ნავთობპროდუქტებით;
- ადმინისტრაციას არ აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო გეგმები - გვირაბიდან უბედური შემთხვევისას პერსონალის ევაკუაციის წესი;
- დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს გამოიყენებენ შეუსაბამოდ, რაც მიუთითებს სწავლების და უნარების დეფიციტზე;
- ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების, მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;
- ამფეთქებელს არ ეძლევა დროის საკონტროლოდ საათი;
- ყოველივე აღნიშნული აუარესებს დასაქმებულთა შრომის პირობებს.

,,დევიძეების უბნის'' მაღაროს პირველი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება და გონივრული დრო მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდეგ, 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>,,დევიძეების უბნის'' მაღაროს</u> განმეორებითი შემოწმება. მისი მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლი და #000054/ო (თარიღი: 19.12.2018) მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტით (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ აღნიშნულ მაღაროზე დარღვეული იყო ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მულის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'', ,,ვ-ბ'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტები და მერვე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი. ასევე, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება #477 ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ'' ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 14.
შემოწმების აქტით დადგინდა, რომ:

- კომპანიის მიერ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში განხორციელდა საფრთხეების მხოლოდ ნაწილობრივი და არასრული იდენტიფიცირება და არასრულყოფილად დაიგეგმა არსებული საფრთხეებიდან მომავალი რისკების მართვის ღონისძიებები;
- არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული დანადგარებიდან და საწარმოო პროცესებიდან მომდინარე რისკები. ამასთანავე არ იქნა გათვალისწინებული ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები;

- არასრულყოფილმა რისკის მართვის სისტემამ განაპირობა 16.06.2019 წელს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევა, რამაც გამოიწვია დასაქმებულის (22 წლის გ. მ. ტრამვირება);
- კომპანიის მიერ წარმოდგენილია საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების გაზომვის დოკუმენტაცია, თუმცა აღნიშნული განხორციელდა არასრულყოფილად და მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების იგნორირებით. სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში არ განხორციელდა ტენიანობის, სითბური გამოსხივების, განათების, საწარმოო ხმაურის გაზომვა და შესაბამისად, არ განხორციელებულა მიღებული შედეგების შეფასება დასაქმებულებზე მათი ზემოქმედების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით;
- საწარმოში სრულად არ განხორციელდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება;
- სამუშაო სივრცეები არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით - ამოსატუმბი აგრეგატებით. სამუშაო უბნებზე არ ხორციელდება წყლის ამოტუმბვა, არასაკმარისია სატუმბი აგრეგატები, მოუწყობელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სავენტილაციო სისტემების მილგაყვანილობები დაზიანებულია. ადგილი აქვს სავენტილაციო მილგაყვანილობის და ელექტროსადენების ერთ კედელზე, ერთმანეთის გვერდით განთავსების ფაქტს;
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, სათვალე/ფარი, შესაბამისი რესპირატორით, დიელექტრული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით. მაღაროში გამოიყენება მტვრის საწინააღმდეგო ერთჯერადი რესპირატორები, რაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთა სასუნთქი სისტემის ეფექტურ დაცვას აფეთქებისშემდგომი და სამთო მანქანების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი მავნე აეროზოლებისგან;
- არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე (ასაფეთქებელი საწყობი, ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები. საწყობი და ავტო გასამართი სადგური მეხდაცვის გარეშეა. აგრეთვე გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი დაპირობები;
- პერსონალი არ მომარაგდა დეტექციის (დაცვის და კონტროლის სისტემით) საშუალებებით, რომლითაც განახორციელებდნენ მუდმივ კონტროლს სამუშაო სივრცეებში არსებულ მავნე აეროზოლების კონცენტრაციაზე - აფეთქების შემდგომ სანგრევზე დაშვებამდე და შემდგომში მუდმივად სამთო მანქანების მუშაობისას;
- საწარმოში კვლავ გამოიყენება ხის კუსტარული კიბეები;
- საკვები ულუფის შესანახი სამაცივრე დანადგარები კვლავ დაბინძურებულია;
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს კვლავ იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;
- მოსაწესრიგებელია ელექტროუსაფრთხოების წესები, როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა სამუშაო ადგილებზე. ელექტროგაყვანილობის გადაბმის ადგილები არ

არის დადგენილი წესით იზოლირებული და შეფუთული. არ არის მოწყობილი განათებები ელექტროდანადგარების მიმდებარედ. ელექტროდანადგარების დამიწება, ხშირ შემთხვევაში, იგნორირებულია და არ წარმოებს დამიწების ომურ წინაღობაზე ლაბორატორიული კონტროლი.

„დევიძეების უბნის" მაღაროს განმეორებითი შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანეზის" მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის სახით გამოყენებული იქნა ჯარიმა და მის მიმართ გაიცა განმეორებითი მითითება (#000246, თარიღი: 27.08.2019), რომლის შესასრულებლადაც განისაზღვრა გონივრული ვადა.

14. 2018 წლის 16-19 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ პერევისაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. „ჯორჯიან მანგანეზის" მფლობელობაში არსებული **„პერევისას უბნის"** მაღაროს **თავდაპირველი ინსპექტირება**. მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

„პერევისას უბნის" მაღაროს პირველი შემოწმებისას, გამოვლენილი იქნა, მთელი რიგი დარღვევებისა და მათ აღმოსაფხვრელად გაიცა მითითება (N000046/ო, თარიღი 17.12.2018). პირველ მითითებაში (N000046/ო), დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევების თვალსაზრისით, აღნიშნულია, რომ:

„პერევისას უბნის" მაღაროში არ ხორციელდება სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და მათგან მომდინარე რისკების შეფასება და მართვა, კერძოდ:

- შრომითი აქტივობისას არ არის გათვალსწინებული საყრდენ - მამოძრავებელი სისტემის დაზიანების რისკი - დასაქმებულები ტვირთის (ბიგების) გადაადგილებას ახორციელებენ ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით. ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პროცესების მექანიზაციას და მძიმე ტვირთის გადასატანი დამხმარე მექანიზებით პერსონალის მხარდაჭერას. დასაქმებულებს არ აქვთ გავლილი სწავლება ტვირთის ხელით გადაადგილებასთან დაკავშირებით;
- მაღაროს გვირაბებში და სანგრევებზე არ არის უზრუნველყოფილი ადეკვატური განიავება. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა გამორთული და გაუმართავი ლოკალური სავენტილაციო დანადგარები;
- სამუშაო ადგილები და სივრცეები დატბორილია - არ წარმოებს წყლის ამოტუმბვა;
- ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ტექნიკური აღჭურვილობის (გამშვებები, სამთო მანქანები) უსაფრთხოების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ასაფეთქებელი მასალის საწყობი არ არის უზრუნველყოფილი მეხდაცვის სისტემით;
- საბურღ მანქანასთან მუშაობისას პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - ვიბრომაიზოლირებელი ხელთთმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით. გაურკვეველია ბურღის ტექნიკური მდგომარეობა;
- სამუშაო სივრცეებში არ ხორციელდება სისტემატური კონტროლი მავნე აეროზოლებზე. კერძოდ, ბურღვა - აფეთქებითი სამუშაოების პერიოდში და

შემდგომ, მოპოვებისას არ ხორციელდება ჰაერში მავნე აეროზოლების და მტვრის კონცენტრაციის კონტროლი. აღნიშნულს აქვს მხოლოდ პერიოდული ხასიათი - მოწვეული სამთო მაშველი სამსახურის მიერ და ვერ უზრუნველყოფს რეალური სურათის წარმოჩინებას;

- სამუშაო ადგილები არ არის უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით. დასაქმებულები არ არიან სრულად უზრუნველყოფილი თვითმაშველებით;
- საკვები პროდუქტების შესანახი მაცივარ-დანადგარი საჭიროებს დასუფთავებას - თაროები დაბინძურებულია;
- ადმინისტრაციას არ აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო გეგმები - გვირაბიდან უბედური შემთხვევისას პერსონალის ევაკუაციის წესი;
- დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს გამოიყენებენ შეუსაბამოდ, რაც მიუთითებს სწავლების და უნარების დეფიციტზე;
- ავტოგასამართი სადგური არ არის უზრუნველყოფილი მეხდაცვის სისტემით;
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;
- ამფეთქებელს არ ეძლევა დროის საკონტროლოდ საათი;
- ყოველივე აღნიშნული აუარესებს დასაქმებულთ შრომის პირობებს.

გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა გამოსცა მითითება და კომპანიას განუსაზღვრა გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურის მუნიციპალიტეტში, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,პერევისას მაღაროს''** განმეორებითი ინსპექტირება. მისი მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლი და 2018 წლის 17 დეკემბერს გაცემული 000046/ო მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000248 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტით (#000046, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000248, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ აღნიშნულ მაღაროზე დარღვეული იყო ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'', ,,ვ-ბ'', ,,ზ-ა'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტები, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტები და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი. ასევე, საქართველოს მთავრობის დადგენილება #477 ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ'' ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 14.

შემოწმების აქტით დადგინდა, რომ:

- ,,კომპანიის მიერ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში განხორციელდა საფრთხეების მხოლოდ ნაწილობრივი და არასრული იდენტიფიცირება და

არასრულყოფილად დაიგეგმა არსებული საფრთხეებიდან მომავალი რისკები მართვის ღონისძიებები.

- არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული დანადგარებიდან და საწარმოო პროცესებიდან მომდინარე რისკები. ამასთანავე, არ იქნა გათვალისწინებული ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები.''
- კომპანიის მიერ წარმოდგენილია საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების გაზომვის დოკუმენტაცია, თუმცა, აღნიშნული განხორციელდა არასრულყოფილად და მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების იგნორირებით. სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში არ განხორციელდა ტენიანობის, სითბური გამოსხივების, განათების, საწარმოო ხმაურის, მაიონიზებელი გამოსხივების გაზომვა და შესაბამისად, არ განხორციელებულა მიღებული შედეგების შეფასება დასაქმებულებზე მათი ზემოქმედების შემცირების და აღმოფხვრის მიზნით.
- საწარმოში სრულყოფილად არ განხორციელდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება.
- სამუშაო სივრცეები არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით - ამოსატუმბი აგრეგატებით. სამუშაო უბნებზე არ ხორციელდება წყლის ამოტუმბვა, არასაკმარისია სატუმბი აგრეგატები. მოუწყობელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სატუმბი დანადგარის მილგაყვანილობა დაზიანებულია და ამოტუმბული წყალი კვლავ უბრუნდება სამუშაო სივრცეს.
- სავენტილაციო სისტემის მილგაყვანილობი დაზიანებულია;
- სამუშაო უბნებზე არ განთავსდა საკაცეები. სააფთიაქო საშუალებები განთავსდა მხოლოდ მიწის ზედაპირზე არსებულ სათავსში;
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, სათვალე/ფარი, შესაბამისი რესპირატორით, დიელექტრული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით. მაღაროში გამოიყენება მტვრის საწინააღმდეგო ერთჯერადი რესპირატორები, რაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთა სასუნთქი სისტემის ეფექტურ დაცვას აფეთქებისშემდგომი და სამთო მანქანების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი მავნე აეროზოლებისგან;
- არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე (ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები;
- ფეთქი მასალის საწყობი და აგს მეხდაცვის გარეშეა;
- აგრეთვე გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი დაპირობები;
- პერსონალი არ მომარაგდა დეტექციის (დაცვის და კონტროლის სისტემით) საშუალებებით, რომლითაც განახორციელებდნენ მუდმივ კონტროლს სამუშაო სივრცეებში არსებულ მავნე აეროზოლების კონცენტრაციაზე - აფეთქების შემდგომ სანგრევზე დაშვებამდე და შემდგომში მუდმივად სამთო მანქანების მუშაობისას;
- საწარმოში კვლავ გამოიყენება ხის კუსტარული კიბეები;
- საკვები ულუფის შესანახი სამაცივრე დანადგარები კვლავ დაბინძურებულია;
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს კვლავ იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების

განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;

- მოსაწესრიგებელია ელექტროუსაფრთხოების წესები, როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა სამუშაო ადგილებზე, ელექტროგაყვანილობის გადაბმის ადგილები არ არის დადგენილი წესით იზოლირებული და შეფუთული. არ არის მოწყობილი განათებები ელექტროდანადგარების მიმდებარედ. ელექტროდანადგარების დამიწება, ხშირ შემთხვევაში, იგნორირებულია და არ წარმოებს დამიწების ომურ წინაღობაზე ლაბორატორიული კონტროლი;

,,პერევისას მაღაროს'' განმეორებითი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების საფუძველზე, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიმართ, ადმინისტრაციული სახდელის სახით, გამოყენებული იქნა ჯარიმა და კომპანიას მიეცა ხელმეორე მითითება (#000248, თარიღი:27.08.2019 - იხ. დანართი).

15. 2018 წლის 15-19 ოქტომბერს, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ კოროხნარში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,კოროხნარის უბანის''** მაღაროს <u>თავდაპირველი ინსპექტირება.</u> მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

პირველადი შემოწმებისას, გამოვლენილი იქნა, მთელი რიგი დარღვევებისა და მათ აღმოსაფხვრელად გაიცა მითითება (N000047/ო, თარიღი 17.12.2018). პირველ მითითებაში (N000047/ო), დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევების თვალსაზრისით, აღნიშნულია, რომ:

მაღაროში არ ხორციელდება სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და მათგან მომდინარე რისკების შეფასება და მართვა. კერძოდ:

- შრომითი აქტივობისას არ არის გათვალისწინებული საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაზიანების რისკი - დასაქმებულები ტვირთის (ბიგების) გადაადგილებას ახორციელებენ ხელით, ფიზიკური ძალის გამოყენებით. ადმინისტრაცია არ უზრუნველყოფს პროცესების მექანიზაციას და მძიმე ტვირთის გადასატანი დამხმარე მექანიზმებით პერსონალის მხარდაჭერას. დასაქმებულებს არ აქვთ გავლილი სწავლება ტვირთის ხელით გადაადგილებასთან დაკავშირებით;
- მაღაროს გვირაბებში და სანგრევებზე არ არის უზრუნველყოფილი ადეკვატური განიავება. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა გამორთული და გაუმართავი ლოკალური სავენტილაციო დანადგარები;
- სამუშაო ადგილები და სივრცეები დატბორილია - არ წარმოებს წყლის ამოტუმბვა;
- სამუშაო სივრცეები არ არის უზრუნველყოფილი რაციონალური და ადეკვატური განათებით, რიგ ადგილებში არ არსებობს გამანათებელი არმატურა (მაგ. შტრეკი N3);
- ადმინისტრაციამ ვერ წარმოადგინა ტექნიკური აღჭურვილობის (გამშვები, სამთო მანქანები) უსაფრთხოების შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ასაფეთქებელი მასალის საწყობი არ არის უზრუნველყოფილი მეხდაცვის სისტემით;

- საბურღ მანქანასთან მუშაობისას პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით - ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანები, სამუხლეები, საიდაყვეები. გაურკვეველია ბურღის ტქნიკური მდგომარეობა;
- სამუშაო სივრცეებში არ ხორციელდება სისტემატიური კონტროლი მავნე აეროზოლებზე. კერძოდ, ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების პერიოდში და შემდგომ, მოპოვებისას არ ხორციელდება ჰაერში მავნე აეროზოლების და მტვრის კონცენრაციის კონტროლი. აღნიშნულს აქვს მხოლოდ პერიოდული ხასიათი - მოწვეული სამთო მაშველის სამსახურის მიერ და ვერ უზრუნველყოფს რეალური სურათის წარმოჩინებას;
- სამუშაო ადგილები არ არის უზრუნველყოფილი პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებებით. დასაქმებულები არ არიან უზრუნველყოფილი თვითმაშველებით;
- საკვები პროდუქტების შესანახი მაცივარ-დანადგარი საჭიროებს დასუფთავებას - თაროები დაბინძურებულია;
- ავტოგასამართი სადგური არ არის უზრუნველყოფილი მეხდაცვის სისტემით;
- ადმინისტრაციას არ აქვს შემუშავებული საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო გეგმები - გვირაბიდან უბედური შემთხვევისას პერსონალის ევაკუაციის წესი;
- ინსპექტირებისას დაფიქსირდა უსაფრთხოების წესების დარღვევით მიმდინარე საწარმოო პროცესები. კერძოდ: მოპოვებული წიაღისეულის დათვირთვისას მძიმე ტექნიკის გამოყენებით მიმდინარე სამუშაოებისას დასაქმებულები იმყოფებოდნენ მძიმე ტექნიკის სამუშაო ზონაში;
- დასაქმებულები ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს გამოიყენებენ შეუსაბამოდ, რაც მიუთითებს სწავლების და უნარების დეფიციტზე;
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;
- ამფეთქებელს არ ეძლევა დროის საკონტროლოდ საათი;
- ყოველივე აღნიშნული აუარესებს დასაქმებულთა შრომის პირობებს.

,,კოროხნარის უბანის'' მაღაროს პირველი ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიმართ გაიცა მითითება და განისაზღვრა გონივრული ვადა მათ შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - <u>,,კოროხნარის უბანის'' განმეორებითი შემოწმება</u>. მისი მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლი და 2018 წლის 17 დეკემბერს გაცემული 000047/ო მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000247 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000247) და მითითებით (#000247, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ აღნიშნულ მაღაროზე დარღვეული იყო ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'', და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტები, მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტი, მე-6

მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტები და მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტი. ასევე, საქართველოს მთავრობის დადგენილება #477 ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ'' ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 14. განმეორებითი შემოწმების აქტით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით და შესაბამისი მითითებით გამოვლენილი დარღვევების შინაარსი ძალიან გავს წინა პუნქტში (,,პერევისას უბნის'' მაღაროს 2019 წლის განმეორებითი შემოწმების აქტის შინაარსს) აღწერილ შეუსაბამობებს და ამიტომ, მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

16. 2018 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განახორციელა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის <u>ელექტრო მექანიკური საამქროს პირველი ინსპექტირება.</u> მისი მიზანი იყო ობიექტზე შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შემოწმება.

სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელექტრო მექანიკური საამქროს პირველი შემოწმებისას, გამოვლენილი იქნა, მთელი რიგი დარღვევებისა და მათ აღმოსაფხვრელად გაიცა მითითება (მითითება N000099/ო, თარიღი: 18.12.2018). პირველ მითითებაში (მითითება N000099/ო), დეპარტამენტის მიერ გამოვლენილი დარღვევების თვალსაზრისით, აღნიშნულია, რომ:

- კომპანიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ ასახავს ობიექტზე არსებულ რეალობას, კერძოდ, არ ხდება სამუშაო სივრცეებში საფრთხის შემცველი ფაქტორების სრული იდენტიფიცირება და შესაბამისად, მათი ჩანაცვლება უსაფრთხო ან ნაკლებ საშიში ფაქტორებით;
- მექანიკურ საამქროში არ ხორციელდება კონტროლი ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენებაზე, დარღვეულია მაღალი წნევის ქვეშ ჩაჭირნახული ბალონების ექსპლოატაციისა და დასაწყობების წესები. დარღვეულია ბალონების ექსპლოატაციის ვადები, რაც წარმოადგენს აფეთქების საფრთხეს. გამოიყენება კუსტარული წესით დამზადებული კიბეები, არ არის სააფთიაქო ყუთები. ტერიტორიაზე არსებულ ავტო გასამართ სადგურს არ აქვს მეხამრიდი, ცეცხლმაქრი და საოპერატოროში დარღვეულია სახანძრო და ელექტრო უსაფრთხოების ნორმები;
- საწარმოს ტერიტორიაზე, დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს დასაქმებულებს სრულყოფილი სწავლებით/ტრენინგებით საგანგებო სიტუაციებში, საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელების შესახებ. აღნიშნული სწავლებების განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად;
- ობიექტზე დასაქმებულები, კერძოდ ელ-საამქროში არ იყვნენ აღჭურვილნი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ: ფეხსაცმლით და ჩაფხუტით;
- ობიექტზე არ ხორციელდება სამუშაო გარემოს საშიში ფიზიკური ფაქტორების: მიკროკლიმატის პარამეტრების, ხმაურის, ვიბრაციისა და მავნე აეროზოლების შემოწმება;
- ობიექტზე შიდა მარეგულირებელი ნორმებით არ არის განსაზღვრული პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა დასაქმებულთა ალკოჰოლური, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაზე;

- დამსაქმებელი არ უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აუცილებელ ზომებს. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში არ ხორციელდება დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელექტრო მექანიკური საამქროს თავდაპირველი შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევების შესაბამისად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიმართ გაიცა მითითება და კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადა მის შესასრულებლად.

გონივრული ვადის გასვლის შემდგომ, 2019 წლის 19 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში **<u>არსებული სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელექტრო მექანიკური საამქროს</u>** <u>განმეორებითი ინსპექტირება</u>.

მისი მიზანი იყო შრომის უსაფრთხოების ნორმების კონტროლი და 2018 წლის 18 დეკემბერს გაცემული #000099/ო მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დადგენა.

შემოწმების შედეგად, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ, არ შესრულდა #000099/ო მითითების 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტები. რაც მოცემულ შემთხვევაში, ნიშნავს, რომ ელექტრო მექანიკურ საამქროში არ შესრულდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტები, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' და ,,თ'' ქვეპუნქტები.

განმეორებითი შემოწმებისას გამოვლენილი დარღვევები, ძირითადად, დაკავშირებული იყო:

- საფრთხეების იდენტიფიცირებასა და პრევენციულ ღონისძიებებთან;
- საწარმოო გარემოს ფიზიკური გარემოს შემოწმებასთან, გაზომვასთან და შეფასებასთან;
- დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვასთან;
- დასაქმებულთა წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებასთან;

განმეორებითი შემოწმების დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ დეტალური ინფორმაცია, კანონის შესაბამის მუხლებთან ერთად, წარმოდგენილია შემდგომ ქვეთავებში.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად, 2019 წლის 27 აგვისტოს შედგა შემოწმების აქტი #000099/შ და სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა. ამავე დროს, ,,ჯორჯიან მანგანეზს'' დარღვევის გამოსასწორებლად და ხელმეორე მითითების შესასრულებლად მიეცა დამატებითი გონივრული ვადა (იხ. მითითება #000253/ო თარიღი: 27.08.2019).

ინფორმაცია ,,ჯორჯიან მანგანეზში" გამოვლენილი დარღვევების შესახებ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის კონტექსტში

ამ ქვეთავში წარმოდგენილია ინფორმაცია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონის იმ მუხლების შესახებ, რომელთან დაკავშირებული დარღვევებიც გამოვლენილი იყო შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის" მართვაში არსებული ობიექტების 2019 წლის შემოწმებისას (განმეორებითი ინსპექტირებისას). ამასთანავე, თითოეული შესაბამისი მუხლის ქვემოთ, მოცემულია 2018 წლის ინსპექტირებისას გაცემული იმ მითითების შინაარსი, რომელთა შეუსრულებლობაც დადგინდა 2019 წლის შემოწმებისას. მითითებები დანომრილია წინა ქვეთავებში აღწერილი ინსპექტირებების ნუმერაციის მიხედვით, რათა მკითხველს გაუადვილდეს მათი დაკავშირება შესაბამის ობიექტებთან და აღწერილ ინფორმაციასთან:

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის (დამსაქმებლის ვალდებულებები) პირველი პუნქტი:

,,1. საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია:

ა) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმები და წესები;

ბ) იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიადგეს;

გ) უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

დ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები და მოთხოვნის შემთხვევაში შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს დასაქმებულს ან/და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

ე) უზრუნველყოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება ამ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად;

ვ) რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით:

ვ.ა) შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა და მოახდინოს მისი დოკუმენტირება;

ვ.ბ) უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალოს ისინი;

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს შემდეგი ფაქტორები:

ზ.ა) ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, არამაიონებელი გამოსხივება, მაიონებელი გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ულტრაბგერა, ინფრაბგერა, ვიბრაცია, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი), განათება, აეროიონები, ელექტრომაბვა);

ზ.ბ) ქიმიური ფაქტორები (მათ შორის, ქიმიური სინთეზით მიღებული, ბიოლოგიური ბუნების მქონე ზოგიერთი ნივთიერება (ანტიბიოტიკები, ვიტამინები, ჰორმონები, ფერმენტები, ცილოვანი პრეპარატები) ან/და ნივთიერებები, რომელთა კონტროლისათვის ქიმიური ანალიზის და დეტექციის მეთოდები გამოიყენება);

ზ.გ) ბიოლოგიური ფაქტორები (მათ შორის, ვირუსები, ცოცხალი უჯრედები და სპორები, პათოგენური მიკროორგანიზმები, პრეპარატებში შემავალი მიკროორგანიზმები – პროდუცენტები).''

1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ავტოპარკში** შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 19 ივლისს ჩატარებული განმეორებითი შემოწმებისას.

კომპანიას 2018 წელს მიღებული ჰქონდა მითითება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები: მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია და მავნე აეროზოლების კონცენტრაცია.

დეპარტამენტის მიერ 27.08.2019 წელს შედგენილი 000096/შ აქტით, დადგენილია, რომ კომპანიამ აღნიშნული მითითება არ შეასრულა. კომპანიის მიმართ, სანქციის სახით, გამოყენებული იქნა ჯარიმა და მას მიეცა დამატებითი გონივრული ვადა ხელახალი მითითების (000254/ო) შესასრულებლად.

2.1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'', საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტის დარღვევა გამოვლინდა ,,შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის'' მიერ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი **ცენტრალური საწყობის** განმეორებითი შემოწმებისას.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, 2018 წლის 19 დეკემბერს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ გაცემული იყო მითითება, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ცენტრალური საწყობის ტერიტორიაზე, დადგენილი პერიოდულობით შემოწმებულიყო, გაზომილიყო და შეფასებულიყო საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები. ამ პროცესში შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზი'' ვალდებული იყო გამოეყენებინა საქართველოს შრომის,

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ ბრძანება ,,გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ'' და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №69 დადგენილება ,,ტექნიკური რეგლამენტის - საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ''.

2019 წლის 27 აგვისტოს აქტით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ არ შეასრულა. შესაბამისად, დეპარტამენტმა დააჯარიმა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზი'' და გასცა შესაბამისი მითითება, კანონის აღნიშნული მოთხოვნების უზრუნველყოფის შესახებ.

2.2. 2019 წლის 27 აგვისტოს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი აქტით, ასევე დადგინდა, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზმა'' არ შეასრულა მე-5 მუხლით დადგენილი კიდევ ერთი ვალდებულება, კერძოდ, **მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ვ.ა'' პუნქტის მოთხოვნები**.

აღნიშნული მუხლის შესაბამისად, 2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება, **საწყობის ტერიტორიაზე** შეემოწმებინა ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობა.

დეპარტამენტმა სანქციის სახით გამოიყენა ჯარიმა და შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მისცა მითითება და დამატებითი გონივრული ვადა აღნიშნული მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით.

3. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში** 2019 წლის 26-27 ივნისს განხორციელებული განმეორებითი შემოწმებისას.

თავდაპირველი შემოწმებისას, კომპანიას მიღებული ჰქონდა შემდეგი შინაარისი მითითება (000068/ო): ,,დამსაქმებელი და საწარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეამოწმოს, გაზომოს და შეაფასოს საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები: (მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია, მტვერი, სამუშაო ჰაერში ფიბროგენული აეროზოლები, მაიონებელი და არამაიონებელი გამოსხივება), ასევე, დაგეგმოს/დანერგოს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა საფრთხე არ შეუქმნას, როგორც დასაქმებულებს, ასევე, სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.''

2019 წლის 27 აგვისტოს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით (#000068/შ) დგინდება, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში აღნიშნული მითითება არ შესრულდა. შედეგად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა.

კომპანიას ასევე მიეცა ხელახალი მითითება და მის შესასრულებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა.

5. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' პუნქტების დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 26-27 ივნისს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის კუთვნილებაში არსებული **აჯამეთის კარიერის** განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 18 დეკემბერს, თავდაპირველი შემოწმების შემდეგ, კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება (#000105/ო) ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' კანონმდებლობისა და ,,გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს #297/ნ ბრძანების, ასევე, ,,საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ'' - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის #69 დადგენილების შესაბამისად, დადგენილი პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები (მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია). ასევე,გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები, რათა მავნე ფაქტორებს საფრთხე არ შეექმნა დასაქმებულებისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირებისათვის.

2019 წლის 27 აგვისტოს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით #000105/შ განსაზღვრულია, რომ აჯამეთის კარიერზე აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა. კომპანია დაჯარიმდა და მიეცა ხელახალი მითითება (იხ. დანართი: 000250/ო) და გონივრული დრო აჯამეთის კარიერზე შესაბამისი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

6. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **დარკვეთის მაღაროს** ტერიტორიაზე შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 19 ივლისს ჩატარებული განმეორებითი შემოწმებისას.

პირველი შემოწმებისას, კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება, დადგენილი პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები.

ამ პროცესში კომპანიას ასევე უნდა დაეცვა:

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს ბრძანება #297/ნ ,,გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება #69 ,,საწარმოო სათავსების მიკროკლიმატისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #67 ,,სამუშაო ზონის ჰაერში ფიბროგენული, შერეული ტიპის მოქმედების აეროზოლებისა და ლითონების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება #70 - ტექნიკური რეგლამენტის - სამუშაო ზონის ჰაერში მავნე ნივთიერებების შემცველობის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დამტკიცების შესახებ;

2019 წლის 27 აგვისტოს შემოწმების აქტით #000263 შ, განისაზღვრა, რომ დარკვეთის მაღაროზე აღნიშნული მითითება არ შესრულდა.

7. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 18 ივნისს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი **იხთვისის მაღაროს** განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიის მიმართ გაცემული იყო მითითება (#000100/ო), რომლის თანახმადაც, კომპანიას იხთვისის მაღაროზე უნდა შეესრულებინა კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც უკავშირდება საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შემოწმებას, გაზომვასა და შეფასებას.

შემოწმების აქტით დადგინდა, რომ აღნიშნული მითითება კომპანიამ იხთვისის მაღაროზე არ შეასრულა.

შემოწმების აქტით #000100/შ განსაზღვრული დარღვევებისათვის, კომპანია დაჯარიმდა და მიეცა დამატებითი მითითება #000214/ო (თარიღი: 27.08.2019 - იხ. დანართი).

8. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 18 ივნისს შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **ბიგების ჩიხის** განმეორებითი შემოწმებისას.

კომპანია, თავდაპირველი შემოწმებისას მიღებული მითითებისა და ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო, კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები, კერძოდ კი, მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია და მავნე აეროზოლების კონცენტრაცია.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, მიერ შედგენილი შემოწმების აქტით (#000262შ თარიღი: 27.08.2019) დგინდება, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ბიგების ჩიხში აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა.

9. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი განმეორებითი შემოწმების აქტიდან #000092/შ ირკვევა, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებულ **მღვიმევის მაღაროს** ტერიტორიაზეც.

კერძოდ, განმეორებითი შემოწმების აქტიდან და განმეორებით გაცემული მითითებიდან ირკვევა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზმა'' არ შეასრულა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების დადგენილი პერიოდულობით გაზომვისა და შეფასების ვალდებულება და შრომის პირობების

ინსპექტირების დეპარტამენტის 2018 წლის 19 დეკემბრის #000092/ო მითითების შესაბამისი პუნქტი.

10. წინა პუნქტში აღნიშნული დარღვევების ანალოგიური შეუსაბამობები გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' განმეორებითი შემოწმების დროს.

აღნიშნულზე, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამეტის მიერ შედგა შემოწმების აქტი #000265შ (27.08.2019) და #000265/ო მითითება.

11. წინა პუნქტში აღწერილი მითითების მსგავსი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **#27 საკარიერო უბნის ტერიტორიაზე** განხორციელებული განმეორებითი შემოწმებისას.

დეპარტამენიტის მიერ შედგენილი მითითებით #000264/ო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტითა და შემოწმების აქტით #000264შ (თარიღი: 27.08.2019) განისაზღვრა, რომ კომპანიამ არ შეასრულა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

12. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'', ,,ვ-ბ'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტების დარღვევა დააფიქსირა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **შუქრუთის მაღაროს** განმეორებითი ინსპექტირებისას.

შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოცემული #000044/ო (თარიღი: 17.12.2018) მითითების საფუძველზე, კომპანია ვალდებული იყო:

- უზრუნველეყო დაცვის და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება;
- შეემოწმებინა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა;
- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გაეკონტროლებინა მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი ახლით. უზრუნველეყო მათი მოვლა-გასუფთავება;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია, განათება, არამაიონებელი და მაიონებელი გამოსხივება, უპირატესად ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი).

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული განმეორებითი შემოწმების აქტით #000044, დგინდება, რომ:

,,კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა საწარმოო გარემის ფიზიკური ფაქტორების გაზომვის დოკუმენტაცია, თუმცა, აღნიშნული განხორციელებულია არასრულყოფილად და მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების იგნორირებით. სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში არ განხორციელებულა ტენიანობის, სითბური გამოსხივების, განათების, საწარმოო ხმაურის, მაიონებელი გამოსხივების გაზომვა და შესაბამისად არ განხორციელდა მიღებული შედგეგების შეფასება დასაქმებულზე მათი ზემოქმედების შემცირებისა და აღმოფხვრის მიზნით''.

,,საწარმოში სრულყოფილად არ განხრციელდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება'';

,,სპეცტანსაცმელი ირეცხება პერსონალის მიერ, ოჯახებში.''

12.1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის</u> დარღვევა დადგინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა (#000220, თარიღი: 27.08.2019) და გაცემული მითითებით (#000220). აღნიშნული აქტები უკავშირდებოდა ჭიათურაში, სოფელ შუქრუთში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**შუქრუთის მაღაროს**</u> ტერიტორიაზე მომხდარ უბედურ შემთხვევას.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ:

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილ შუქრუთის მაღაროზე 2019 წლის 13 ივლისს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, დაშავდა ერთი დასაქმებული: ,,თ'' ,,ჭ''. დამსაქმებელმა არ შეასრულა ვალდებულება და არ უზრუნველყო სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანგარიშგება და ასევე, ზედამხედველ ორგანოს არ შეატყობინა უბედური შემთხვევის შესახებ.

13. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'', ,,ვ-ბ'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელებული შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**,,დევიძეების უბნის''**</u> მაღაროს განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, დეპარტამენტს, კომპანიის მიმართ, გაცემული ჰქონდა მითითება #000054/ო, რომელიც, მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები.
- შეემოწმებინა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა;

- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გაეკონტროლებია მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეცვალა ისინი. უზრუნველეყო მათი მოვლა-გასუფთავება.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,დევიძეების უბნის'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემო აღნიშნული ვალდებულებები. კერძოდ:

- კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების გაზომვის დოკუმენტაცია, თუმცა, აღნიშნული განხორციელდა არასრულყოფილად და მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების იგნორირებით. სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში არ განხორციელდა ტენიანობის, სითბური გამოსხივების, განათების, საწარმოო ხმაურის გაზომვა და შესაბამისად, არ განხორციელებულა მიღებული შედეგების შეფასება დასაქმებულებზე მათი ზემოქმედების შემცირების და აღმოფხვრის მიზნით.
- საწარმოში სრულად არ განხორციელდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება.
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

14. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'', ,,ვ-ბ'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>,,პერევისას მაღაროს''</u> განმეორებითი ინსპექტირებისას.

2018 წლის 17 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000046/ო რომელიც, მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები;
- შეემოწმებინა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა;
- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გაეკონტროლებია მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად შეეცვალა ისინი. უზრუნველეყო მათი მოვლა-გასუფთავება.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000248 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტით (#000046, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000248, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,პერევისას'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები და გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

- კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების გაზომვის დოკუმენტაცია, თუმცა, აღნიშნული განხორციელდა არასრულყოფილად და მოქმედი რეგულაციებით განსაზღვრული ნორმების იგნორირებით. სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში არ განხორციელდა ტენიანობის, სითბური გამოსხივების, განათების, საწარმოო ხმაურის, მაიონიზებელი გამოსხივების გაზომვა და

შესაბამისადარ განხორციელებულა მიღებული შედეგების შეფასება დასაქმებულებზე მათი ზემოქმედების შემცირების და აღმოფხვრის მიზნით;

- საწარმოში სრულყოფილად არ განხორციელდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება;
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

15. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ-ა'' და ,,ზ-ა'' ქვეპუნქტების დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - **,,კოროხნალის უბანის''** განმეორებითი შემოწმების შედეგად.

აღნიშნულ მაღაროზე გამოვლენილი შეუსაბამობების შინაარსი ძალიან ჰგავს წინა პუნქტში აღწერილ დარღვევებს და ამიტომ, მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

16. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მეხუთე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ'' და ,,ზ.ა'' ქვეპუნქტების დარღვევა დადგინდა, 2019 წლის 19 ივლისს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელექტრო მექანიკური საამქროს** განმეორებითი ინსპექტირების შედეგად.

კომპანიას, 2018 წლის 18 დეკემბერს მიღებული ჰქონდა მითითება #000099/ო, რომლის თანახმადაც, იგი ვალდებული იყო, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით შეემოწმებინა, გაეზომა და შეეფასებინა საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორები: მიკროკლიმატის პარამეტრები, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია და მავნე აეროზოლების კონცენტრაცია.

შემოწმების შედეგად, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ, არ შესრულდა აღნიშნული ვალდებულება.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული

კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი:

,,2. საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს დასაქმებულებისათვის სწავლების (ტრენინგების) და ინსტრუქტაჟის ჩატარება და მათ გასაგებ ენაზე მიაწოდოს ინფორმაცია:

ა) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი და სხვა ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;

ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შესახებ;

გ) საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების შესახებ;

დ) არსებული საფრთხისა და რისკის, აგრეთვე მათი კონტროლის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

2. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის დარღვევა გამოვლინდა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ცენტრალური საწყობის** განმეორებითი შემოწმებისას.

აღნიშნული მუხლის საფუძველზე, 2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება, დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების წესის შესახებ. ასევე, გაემიჯნა ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა სავალი გზები, მოეწყო ნიშანდება (მათ შორის, განეთავსებიათ სიჩქარის შემზღუდველი).

შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შემოწმების აქტის #000045/შ დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ არ შეასრულა. დარღვევის გამო, კომპანია დაჯარიმდა და მის მიმართ გაიცა მითითება. მითითებების შესახებ, დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ დანართი - 27.08.2019 წლის მითითება #000255/ო.

8. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 18 ივნისს შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **ბიგების ჩიხის** განმეორებითი შემოწმებისას.

კომპანია, თავდაპირველი შემოწმებისას მიღებული მითითებისა და ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო, დასაქმებულებისათვის ჩაეტარებინა სწავლება/ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, მიერ შედგენილი შემოწმების აქტით (#000262შ თარიღი: 27.08.2019) დგინდება, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ბიგების ჩიხში აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა.

10. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,კაციტაძეების საკარიერო უბნის''** განმეორებითი შემოწმების დროს.

კომპანიას 2018 წლის 18 დეკემბერს მიღებული ჰქონდა მითითება #000104/ო, რომლის ერთ-ერთი პუნქტი კომპანიას ავალდებულებდა ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე

დასაქმებულებისათვის ჩაეტარებინა სწავლება/ინსტრუქტაჟი საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამეტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტითა #000265შ (27.08.2019) და #000265/ო მითითებით დგინდება, რომ აღნიშნული მითითებები ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე არ შესრულდა.

11. დასაქმებულებისათვის საგანგებო სიტუაციების, საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების თაობაზე სწავლების/ინსტრუქტაჟის ჩატარების შესახებ მითითების შეუსრულებლობა დაფიქსირდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში **#27 საკარიერო უბნის ტერიტორიაზე** განხორციელებული შრომის პირობების განმეორებითი შემოწმების შედეგად შედგენილ მითითებაში #000264/ო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტსა და შემოწმების აქტში #000264შ (თარიღი: 27.08.2019).

12. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების დარღვევა დააფიქსირა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **შუქრუთის მაღაროს** განმეორებითი ინსპექტირებისას.

შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოცემული #000044/ო (თარიღი: 17.12.2018) მითითება, რომლის საფუძველზეც, კომპანია ვალდებული იყო:

- დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების წესის შესახებ;

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული განმეორებითი შემოწმების აქტით #000044, დგინდება, რომ:

,,არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედი გეგმები. აგრეთვე, გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი და პირობები''.

13.,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მეხუთე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელებული შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული ,,დევიძეების უბნის'' მაღაროს განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000054/ო, რომელიც, მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

<u>დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ.</u>

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,დევიძეების უბნის'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები. ამასთან დამატებით, გამოვლინდა ამ მუხლის შესაბამის პუნქტებთან დაკავშირებული შემდეგი შეუსაბამობები:

- არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე (ასაფეთქებელი საწყობი, ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები;
- გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი დაპირობები.
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს კვლავ იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში.

14. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მეხუთე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **<u>,,პერევისას მაღაროს''</u>** განმეორებითი ინსპექტირებისას.

2018 წლის 17 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000046/ო რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების წესის შესახებ.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000248 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000046, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000248, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,პერევისას'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები.

15. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მეხუთე მუხლის მეორე პუნქტის ,,ბ'' და ,,გ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - ,,კოროხნალის უბანის'' განმეორებითი შემოწმების შედეგად.

აღნიშნულ მაღაროზე გამოვლენილი შეუსაბამობების შინაარსი ძალიან გავს წინა პუნქტში აღწერილ დარღვევებს და ამიტომ, მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული

კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი:

,,5. საწარმოს სიდიდისა და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება:

ა) პროფესიულ რისკებსა და მავნე საწარმოო ფაქტორებს, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო ადგილთან და დასაქმებულების ჯანმრთელობაზე მათ შესაძლო გავლენას, აგრეთვე მათგან თავის დაცვის მექანიზმებს;

ბ) რისკებს, რომელთა წინაშეც შეიძლება დადგნენ დასაქმებულები, და რისკების შედეგების შეფასებას, მათ შორის, დამსაქმებლის მიერ მიღებულ შრომის უსაფრთხოებისა და პრევენციულ ზომებს;

გ) საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღებ ზომებს, აგრეთვე იმ ღონისძიებებსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ავარიის ან ხანძრის შემთხვევაში;

დ) აკრძალვებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოში შესვლასთან, იქ ყოფნასთან და ისეთი სამუშაოს შესრულებასთან, რომელიც საფრთხეს უქმნის დასაქმებულის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;

ე) გარკვეული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ აკრძალვებს.''

12. შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-5 მუხლის მუხლის მე-5 პუნქტის</u> დარღვევა დააფიქსირა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**შუქრუთის მაღაროს**</u> განმეორებითი ინსპექტირებისას.

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული განმეორებითი შემოწმების აქტით #000044, დგინდება, რომ:

,,არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე საგანგებო სიტუაციების დროს მოქმედი გეგმები. აგრეთვე, გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი და პირობები''.

,,დასაქმებულები სანგრევზე შედიან აფეთქების შემდგომ 15 წუთის პერიოდში, რაც ორჯერ ნაკლებია ბურღვა-აფეთქებითი პასპორტით გათვალისწინებულ 30 წუთიან ვადაზე''.

,,ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს კვლავ იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში.''

13. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის **მეხუთე მუხლის მეხუთე პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის** დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელებული შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული ,,დევიძეების უბნის'' მაღაროს განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000054/ო, რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების შესახებ.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,დევიძეების უბნის'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები.

14. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,პერევისას მაღაროს''** განმეორებითი ინსპექტირებისას.

15. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის ,,გ'' ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - **,,კოროხნალის უბანის''** განმეორებითი შემოწმების შედეგად.

კომპანიას შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ მიღებული ჰქონდა მითითება 000047/ო (თარიღი: 17.12.2018), რომლის თანახმადაც, კომპანია, მათ შორის, ვალდებული იყო დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის შესახებ.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000247 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000247) და მითითებით (#000247, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ კომპანიამ აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა. ამასთან, მითითებულია, რომ ,,არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე (ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორი) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები. აგრეთვე, გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი და პირობები.''

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული

კანონის მე-6 მუხლის (პრევენცია) 1-ლი პუნქტი:

,,1. დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

ა) იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;

ბ) შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;

გ) იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;

დ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;

ე) შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;

ვ) ამ პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს;

ზ) კოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

თ) დასაქმებულებს ჩაუტაროს შესაბამისი სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი;

ი) უზრუნველყოს სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით – სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და საწარმოო მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით.''

1.,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'', ,,დ'', ,,ე'' და ,,ვ''</u> ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **<u>ავტოპარკის</u>** 2019 წლის 19 ივლისს განმეორებითი შემოწმებისას.

კომპანიას, დეპარტამენტისაგან მიღებული ჰქონდა მითითება, რომ შეემუშავებინა და გაეტარებინა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები; ეზრუნა არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით,

ჩაენაცვლებინა საფრთხისშემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით; შეეფასებინა და ეკონტროლებინა ის რისკები და საფრთხეები რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია.

დარღვევის გამო, ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიმართ სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა. ამავე დროს, ,,ჯორჯიან მანგანეზს'' დარღვევის გამოსასწორებლად და ხელმეორე მითითების (#000254/ო) შესასრულებლად მიეცა დამატებითი გონივრული ვადა.

2.1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონისმე-6 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'' და ,,დ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი **ცენტრალური საწყობის განმეორებითი შემოწმებისას.**

2018 წლის 19 დეკემბერს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' კანონის'' მე-6 მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,ჯორჯიან მანგანეზისათვის'' გაცემული იყო მითითება, რომ მისი საწყობის ტერიტორიაზე, სამუშაო ადგილზე და სამუშაო სივრცეში განესაზღვრა კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დაენერგა რისკის შეფასების და მართვის სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას, ,,ჯორჯიან მანგანეზს'' უნდა გაეთვალისწინებინა ადამიანიური ფაქტორები და ნარჩენი რისკები.

2019 წლის 27 აგვისტოს აქტით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ არ შეასრულა. შესაბამისად, დეპარტამენტმა დააჯარიმა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზი'' და გასცა მითითება კანონის აღნიშნული მოთხოვნების უზრუნველყოფის შესახებ.

3. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'', ,,დ'', ,,ე'' და ,,ვ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 26-27 ივნისს, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფერაშენადნობ ქარხანაში განხორციელებული განმეორებითი შემოწმებისას.

თავდაპირველი შემოწმებისას, კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება (000068/ო) შეემუშავებინა თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს. განისაზღვრა აუცილებლობა, რომ მომხდარიყო სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის ელემენტების დანერგვა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაზე.

ამასთანავე, კომპანიას დაევალა:

- გამოევლინა საფრთხის შემცველი ფაქტორები;
- გამოევლინა ის დასაქმებულები, რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ქვეშ;
- შეეფასებინა რისკები და დაეგეგმა გასატარებელი ღონისძიებები;

- გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად;
- ეწარმოებინა სისტემური მონიტორინგი და ეკონტროლებინა ნარჩენი რისკები;

2019 წლის 27 აგვისტოს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით (#000068/შ) დგინდება, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში აღნიშნული მითითება არ შესრულდა. შედეგად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა. კომპანიას ასევე მიეცა ხელახალი მითითება და მის შესასრულებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა.

4. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'', ,,დ'', ,,ე'' და ,,ვ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 26-27 ივნისს შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის კუთვნილებაში არსებულ წყალსადენზე** განხორციელებული განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 18 დეკემბერს განხორციელებული თავდაპირველი შემოწმებისას, კომპანიას მიცემული ჰქონდა შემდეგი შინაარსის მითითება (#000093/ო):

კომპანიამ შეიმუშავოს თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს. აუცილებელია მოხდეს სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მართვის სისტემის ელემენტების დანერგვა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაზე.

ამასთან კომპანიას:

- უნდა გამოევლინა საფრთხის შემცველი ფაქტორები და ის დასაქმებულები, რომლებიც საფრთხის ქვეშ იმყოფებიან;
- შეეფასებინა რისკები და დაეგეგმა გასატარებელი ღონისძიებები;
- გაეტარებინა ღონისძიებები საფრთხეების აღმოფხვრისა და რისკების შესამცირებლად;
- ეწარმოებინა სისტემატური მონიტორინგი და ეკონტროლებია ნარჩენი რისკები;

27.08.2019 წელს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით #000093/შ განისაზღვრა, რომ შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის წყალსადენის ტერიტორიაზე არ შესრულდა აღნიშნული მითითება.

5. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'', ,,ბ'', ,,გ'', ,,დ'', ,,ე'' და ,,ვ'' ქვე-პუნქტების დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 26-27 ივნისს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის კუთვნილებაში არსებული **აჯამეთის კარიერის** განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 18 დეკემბერს, თავდაპირველი შემოწმების შემდეგ, კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება (#000105/ო), რომელიც ზუსტად ემთხვევა წინა პუნქტში აღწერილ მითითების შინაარსს, რის გამოც მას აქ აღარ გავიმეორებთ.

2019 წლის 27 აგვისტოს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით #000105/შ განსაზღვრულია, რომ აჯამეთის კარიერზე აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა. კომპანია დაჯარიმდა და მიეცა ხელახალი მითითება (იხ. დანართი: 000250/ო) და გონივრული დრო აჯამეთის კარიერზე შესაბამისი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

7. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 18 ივნისს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილი **იხთვისის მაღაროს** განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიის მიმართ გაცემული იყო მითითება (#000100/ო), რომლის თანახმადაც, კომპანიას უნდა შეემუშავებინა და გაეტარებინა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები: კომპანიას უნდა ეზრუნა არსებული რისკების თავიდან აცილებაზე; სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, უნდა ჩაენაცვლებია საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით; შეეფასებინა და ეკონტროლებინა ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია.

შემოწმების აქტით დადგინდა, რომ აღნიშნული მითითება კომპანიამ იხთვისის მაღაროზე არ შეასრულა.

შემოწმების აქტით #000100/შ განსაზღვრული დარღვევებისათვის, კომპანია დაჯარიმდა და მიეცა დამატებითი მითითება #000214/ო (თარიღი: 27.08.2019 - იხ. დანართი).

8. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 18 ივნისს შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **ბიგების ჩიხის** განმეორებითი შემოწმებისას.

კომპანია, თავდაპირველი შემოწმებისას მიღებული მითითებისა და ზემოაღნიშნული მუხლის საფუძველზე, ვალდებული იყო, შეემუშავებინა და გაეტარებინა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული ღონისძიებები.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის, მიერ შედგენილი შემოწმების აქტით (#000262შ თარიღი: 27.08.2019) დგინდება, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' ბიგების ჩიხში აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა.

9. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი შემოწმების აქტიდან #000092/შ ირკვევა, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **მღვიმევის მაღაროს** ტერიტორიაზეც.

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2018 წლის 19 დეკემბრის #000092/ო მითითებით დაევალა: შეემუშავებინა და გაეტარებინა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები.

განმეორებითი შემოწმების აქტით დგინდება, რომ ეს მითითება მღვიმევის მაღაროს ტერიტორიაზე არ შესრულდა.

10. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების დარღვევა დადგინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,კაციტაძეების საკარიერო უბნის''** განმეორებითი შემოწმების შედეგად.

შემოწმების აქტით #000265შ (27.08.2019) განისაზღვრა, რომ ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე არ შესრულდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2018 წლის 18 დეკემბერს გაცემული #000104/ო მითითების პუნქტი, რომელიც ავალდებულებდა კომპანიას შეემუშავებინა და გაეტარებინა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები.

11. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების დარღვევა დადგინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში **#27 საკარიერო უბნის ტერიტორიაზე** განხორციელებული განმეორებითი შემოწმების დროსაც.

კომპანიას, თავდაპირველი შემოწმების ფარგლებში, მიღებული ჰქონდა ისეთივე მითითება, როგორც ეს აღწერილია წინა პუნქტში.

დეპარტამენიტის მიერ შედგენილი მითითებით #000264/ო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტითა და შემოწმების აქტით #000264შ (თარიღი: 27.08.2019) განისაზღვრა, რომ კომპანიამ არ შეასრულა აღნიშნული ვალდებულება.

12. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის **მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტების** დარღვევა დააფიქსირა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული შუქრუთის მაღაროს განმეორებითი ინსპექტირებისას.

კომპანია შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოცემული #000044/ო (თარიღი: 17.12.2018) მითითების საფუძველზე, ვალდებული იყო, სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში განესაზღვრა კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დაენერგა რისკის შეფასებისა და მართვის სისტემა. ასევე, თანამშრომელთა შორის ფუნქციების გადანაწილების საფუძველზე, განესაზღვრა შრომის

უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული განმეორებითი შემოწმების აქტით (#000044) დგინდება, რომ:

კომპანიის მიერ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში განხორციელდა საფრთხეების მხოლოდ ნაწილობრივი და არასრული იდენტიფიცირება და არასრულყოფილად დაიგეგმა არსებული საფრთხეებიდან მომავალი რისკების მართვის ღონისძიებები. არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული დანადგარებიდან და საწარმოო პროცესებიდან მომდინარე რისკები. ამასთანავე, არ იქნა გათვალისწინებული ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა დასაქმებულის ყოფნა ჩართული სკრეპერის პირობებში ლავის სივრცეში.

13. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის **მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტების** დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელებული შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **,,დევიძეების უბნის''** მაღაროს განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000054/ო, რომელიც, მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში განესაზღვრა კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დაენერგა რისკის შეფასების და მართვის სისტემა. საკონტროლო ღონისძიებების განსაზღვრისას, ადამიანური ფაქტორებისა და ნარჩენი რისკების გათვალისწინებით, კომპანია ვალდებული იყო:

- მუშაობის ყველა ეტაპზე განესაზღვრა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების პოტენციალის მქონე რისკი და ეზრუნა მათ თავიდან აცილებაზე;
- ეზრუნა საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე;
- ჩაენაცვლებია საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეეფასებინა და ემართა ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია.
- ფუნქციების გადანაწილების საფუძველზე წერილობით განესაზღვრა შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,დევიძეების უბნის'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები. ამასთან დამატებით, გამოვლინდა ამ მუხლის შესაბამის პუნქტებთან დაკავშირებული შემდეგი შეუსაბამობები:

- კომპანიის მიერ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში განხორციელდა საფრთხეების მხოლოდ ნაწილობრივი და არასრული იდენტიფიცირება და არასრულყოფილად დაიგეგმა არსებული საფრთხეებიდან მომავალი რისკები მართვის ღონისძიებები;
- არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული დანადგარებიდან და საწარმოო პროცესებიდან მომდინარე რისკები. ამასთანავე არ იქნა გათვალისწინებული ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები.
- არასრულყოფილმა რისკის მართვის სისტემამ განაპირობა 16.06.2019 წელს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევა, რამაც გამოიწვია დასაქმებულის (22 წლის გ. მ. ტრამვირება).
- არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტებზე (ასაფეთქებელი საწყობი, ავტო გასამართი სადგური (აგს), სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები;
- საწყობი და აგს მეხდაცვის გარეშეა;
- პერსონალი არ მომარაგდა დეტექციის (დაცვის და კონტროლის სისტემით) საშუალებებით, რომლითაც განახორციელებდნენ მუდმივ კონტროლს სამუშაო სივრცეებში არსებულ მავნე აეროზოლების კონცენტრაციაზე - აფეთქების შემდგომ სანგრევზე დაშვებამდე და შემდგომში მუდმივად სამთო მანქანების მუშაობისას;
- საწარმოში კვლავ გამოიყენება ხის კუსტარული კიბეები.
- მოსაწესრიგებელია ელექტროუსაფრთხოების წესები, როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა სამუშაო ადგილებზე; ელექტროგაყვანილობის გადაბმის ადგილები არ არის დადგენილი წესით იზოლირებული და შეფუთული. არ არის მოწყობილი განათებები ელექტროდანადგარების მიმდებარედ. ელექტროდანადგარების დამიწება ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია და არ წარმოებს დამიწების ომურ წინაღობაზე ლაბორატორიული კონტროლი.

14. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**,,პერევისას მაღაროს''**</u> განმეორებითი ინსპექტირებისას.

2018 წლის 17 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება (#000046/ო), რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

- სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეში განესაზღვრა კონკრეტული დანადგარებიდან, საწარმოო პროცესებიდან გამომდინარე საფრთხეები და დაენერგა რისკის შეფასების და მართვის სისტემა;
- მუშაობის ყველა ეტაპზე განესაზღვრა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების პოტენციალის მქონე რისკი და ეზრუნა მათ თავიდან აცილებაზე;
- ეზრუნა საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე;
- ჩაენაცვლება საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეეფასებინა და ემართა ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია.

- ფუნქციების გადანაწილების საფუძველზე წერილობით განესაზღვრა შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000248 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტით (#000046, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000248, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,პერევისას'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები და გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

- ,,კომპანიის მიერ სამუშაო ადგილებზე და სამუშაო სივრცეებში განხორციელდა საფრთხეების მხოლოდ ნაწილობრივი და არასრული იდენტიფიცირება და არასრულყოფილად დაიგეგმა არსებული საფრთხეებიდან მომავალი რისკები მართვის ღონისძიებები;
- არ იქნა განსაზღვრული კონკრეტული დანადგარებიდან და საწარმოო პროცესებიდან მომდინარე რისკები. ამასთანავე არ იქნა გათვალისწინებული ადამიანური ფაქტორები და ნარჩენი რისკები;''
- ფეთქი მასალის საწყობი და აგს მეხდაცვის გარეშეა;
- პერსონალი არ მომარაგდა დეტექციის (დაცვის და კონტროლის სისტემით) საშუალებებით, რომლითაც განახორციელებდნენ მუდმივ კონტროლს სამუშაო სივრცეებში არსებულ მავნე აეროზოლების კონცენტრაციაზე - აფეთქების შემდგომ სანგრევზე დაშვებამდე და შემდგომში მუდმივად სამთო მანქანების მუშაობისას;
- საწარმოში კვლავ გამოიყენება ხის კუსტარული კიბეები;
- ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების დროს კვლავ იგნორირებულია საკონტროლო ღონისძიება - პოსტების და მაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება, რომელმაც უნდა შეზღუდოს არაავტორიზებულ პირთა უნებლიე მოხვედრა საშიშ ზონაში;
- მოსაწესრიგებელია ელექტროუსაფრთხოების წესები, როგორც მიწისზედა, ისე მიწისქვეშა სამუშაო ადგილებზე, ელექტროგაყვანილობის გადაბმის ადგილები არ არის დადგენილი წესით იზოლირებული და შეფუთული. არ არის მოწყობილი განათებები ელექტროდანადგარების მიმდებარედ. ელექტროდანადგარების დამიწება ხშირ შემთხვევაში იგნორირებულია და არ წარმოებს დამიწების ომურ წინაღობაზე ლაბორატორიული კონტროლი.

15. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-თ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - **<u>,,კოროხნალის უბანის''</u>** განმეორებითი შემოწმების შედეგად.

აღნიშნული შემოწმების შედეგად დადგენილი დარღვევების შინაარსი ძალიან გავს წინა პუნქტში აღწერილ შეუსაბამობებს, ამიტომ, მათ განხილვაზე აქ აღარ შევჩერდებით.

16. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების

ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 19 ივლისს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელექტრო მექანიკური საამქროს</u> განმეორებითი ინსპექტირების შედეგად.

კომპანიას, 2018 წლის 18 დეკემბერს მიღებული ჰქონდა მითითება #000099/ო, რომლის თანახმადაც იგი ვალდებული იყო,შეემუშავებინა და გაეტარებინა სამუშაო სივრცეში და სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებები:

- ეზრუნა არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;
- სამუშაო სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩაენაცვლებია საფრთხისშემცველი ფაქტორების უსაფრთხო და ნაკლებად საშიში ფაქტორებით;
- შეეფასებინა და ეკონტროლებინა ის რისკები და საფრთხეები რომელთა თავიდან აცილება შეუძლებელია.

შემოწმების შედეგად, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ, არ შესრულდა აღნიშნული ვალდებულება.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული

კანონის მე-6 მუხლის (პრევენცია) მე-3 პუნქტი:

,,3. საწარმოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;

ბ) უზრუნველყოს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური სწავლება ან ინსტრუქტაჟი;

გ) გამოავლინოს და აღრიცხოს საფრთხის შემცველი სამუშაო ადგილები;

დ) უზრუნველყოს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში ზედამხედველ ორგანოს მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი და შეასრულოს ამ ორგანოს მითითებები;

ვ) საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;

ზ) დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა;

თ) უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ი) არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს.''

1. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 19 ივლისს ჩატარებული განმეორებითი შემოწმებისას, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **<u>ავტოპარკში</u>** გამოვლინდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ''[4] ქვეპუნქტის</u> დარღვევა.

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიცემული ჰქონდა მითითება დასაქმებულები აღეჭურვა სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმელით, ხელთათმანებით, სათვალით). უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა; დაეწესებინა კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე საჭიროების შემთხვევაში დროულად შეეცვალათ ისინი ახლით.

2019 წლის 27 აგვისტოს #000096/შ აქტით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზმა'' აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა. შესაბამისად, კომპანიის მიმართ, სანქციის სახით, გამოყენებული იქნა ჯარიმა და კომპანიას მიეცა მითითება დარღვევების გამოსასწორებლად.

1.2. 2019 წლის 19 ივლისის განმეორებითი შემოწმებისას, ჭიათურაში, ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **<u>ავტოპარკში</u>** ასევე გამოვლინდა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის **<u>მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტით</u>** გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა.[5]

---

[4] შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მითითებაში, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განპირობებულია ხელმეორე მითითების შედგენის დროს დაშვებული შეცდომით და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლის ნაცვლად, ხელმეორე მითითებაში აღნიშნულია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს იმ კანონის მუხლის ნუმერაცია, რომელიც ძალადაკარგულად არის გამოცხადებული.

[5]შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მითითებაში, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტი. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განპირობებულია ხელმეორე მითითების შედგენის დროს დაშვებული შეცდომით და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლის ნაცვლად, ხელმეორე მითითებაში აღნიშნულია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს იმ კანონის მუხლის ნუმერაცია, რომელიც ძალადაკარგულად არის გამოცხადებული. აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ხელახალი მითითებების შედგენის დროს, ძალაში იყო ორგანული კანონი და შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ხელმეორე შემოწმებისას და შესაბამისი მითითების შედგენისას, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ორგანული კანონის მუხლები. ამასთანავე, ,,შრომის უსაფრთხეობის შესახებ'' ძალადაკარგულად გამოცხადებული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტში მოცემულია კომპანიის ვალდებულება ,,თ) უზრუნველყოს დასაქმებულისთვის წინასწარი და პერიოდული

კომპანიას დეპარტამენტისაგან მიღებული ჰქონდა მითითება, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში უზრუნველეყო დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება.

2019 წლის 27 აგვისტოს #000096/შ აქტით, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზმა'' აღნიშნული ვალდებულება არ შეასრულა. შესაბამისად, კომპანიის მიმართ, სანქციის სახით, გამოყენებული იქნა ჯარიმა და კომპანიას მიეცა მითითება (000254/ო) დარღვევების გამოსასწორებლად.

2.1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის[6] დარღვევა გამოვლინდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ცენტრალური საწყობის** განმეორებითი შემოწმებისას:

2018 წლის 19 დეკემბერს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, კომპანიას მიცემული ჰქონდა მითითება, საწარმოს საწყობი აღეჭურვა კოლექტიური დაცვის საშუალებებით. კერძოდ, მეხდაცვით, ნიშანდებით, სასიგნალო სისტემით, ჯებირებით, მოაჯირებითა და მაბლოკირებელი სისტემებით.

2019 წლის 27 აგვისტოს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შემოწმების აქტით #000045/შ დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ არ შეასრულა. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიმართ გამოყენებული იქნა ჯარიმა და მიეცა შესაბამისი მითითება.

2.2. შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ცენტრალური საწყობის** განმეორებითი შემოწმებისას, შრომის უსაფრთხოების პირობების დეპარტამენტმა ასევე გამოავლინა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის დარღვევა.

2018 წლის 19 დეკემბერს, აღნიშნული მუხლის საფუძველზე, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' მიეცა მითითება საწყობში დასაქმებულები აღეჭურვა აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ, ტენმედეგი სპეც. ტანსაცმლით და სპეც. ფეხსაცმლით, ხელთათმანებით; უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. კომპანიას ასევე დაევალა გაეკონტროლებია მათი სწორად

სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;'' ანალოგიური ვალდებულება, სიტყვა-სიტყვით მოცემულია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის (ახალი) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტში. ამიტომ, წინამდებარე ანგარიშში ანალოგიურ შემთხვევებში, აღნიშნულია მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, იქ, სადაც დეპარტამენტის მითითებაში აღნიშნულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

[6] შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მითითებაში, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული განპირობებულია ხელმეორე მითითების შედგენის დროს დაშვებული შეცდომით და ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი მუხლის ნაცვლად, ხელმეორე მითითებაში აღნიშნულია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს იმ კანონის მუხლის ნუმერაცია, რომელიც ძალადაკარგულად არის გამოცხადებული.

გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი. ასევე, უზრუნველეყო მათი მოვლა-გასუფთავება.

შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შემოწმების აქტის #000045/შ დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ არ შეასრულა.

3. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის[7] ,,ვ'' ქვეპუნქტის დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის 26-27 ივნისს, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ზესტაფონის ფერაშენადნობ ქარხანაში** განხორციელებული განმეორებითი შემოწმებისას.

თავდაპირველი შემოწმებისას, კომპანიას მიღებული ჰქონდა მითითება (000068/ო) ზესტაფონის ფეროშენადნობ შემდეგ საამქროებში:

- გარცმების საამქრო,
- ელექტრო საამქრო,
- სავაგონო დეპო,
- საზეინკლო,
- პირველი საამქროს საცერზე,
- პირველი საამქროს საჩამოსხმო მანქანა-კონვეირზე,
- საჩამომსხმელო საამქროს პატარა ღუმელებზე,
- მზა პროდუქციის საწყობში (ე.წ. დეესკა),
- მე-4 საამქროს საკაზმე ეზოს დოზატორების განყოფილებაში,
- 1-ლი საამქროს სადოზატოროში,
- მექანიკურ საამქროში

სამუშაო ადგილები აღეჭურვა შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით და მიენიჭებინათ მათთვის უპირატესობა ინდივიდუალურ დაცვის საშუალებებთან შედარებით. საწარმოს ასევე დაევალა დაემონტაჟებია/მოეწყო ეფექტური ხელოვნური მომდენ-გამწოვი სავენტილაციო სისტემები, რომელიც უზრუნველყოფს დასაქმებულების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და ჯანსაღ სამუშაო გარემოს.

2019 წლის 27 აგვისტოს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტით (#000068/შ) დგინდება, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში

[7]შემოწმების შედეგად გაცემულ ხელმეორე მითითებაში (მითითება #000252/ო, თარიღი 27.08.2019) სავსებით მართებულად, მითითებულია ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეუნქტი. თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი. აღნიშნული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, აღნიშნული ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. ქვეპუნქტები აქვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' ძალადაკარგულილი კანონის შესაბამის პუნქტს. ამასთან ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტი და და ძალადაკარგული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტები იდენტური შინაარსისაა, კერძოდ, ეხება დამსაქმებლის ვალდებულებას, საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით. ვინაიდან გაცემული მითითება სწორედ კოლექტიური დაცვის საშუალებებით აღჭურვას უკავშირდება, მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის ნუმერაციის ნაცვლად, შეცდომით მითითებულია ძველი ნუმერაცია.

აღნიშნული მითითება არ შესრულდა. შედეგად, ადმინისტრაციული სახდელის სახედ, გამოყენებული იქნა ჯარიმა. კომპანიას ასევე მიეცა ხელახალი მითითება და მის შესასრულებლად განესაზღვრა დამატებითი ვადა.

7.1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირებისდეპარტამენტმა 2019 წლის 18 ივნისს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებული **იხთვისის მაღაროს** განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიის მიმართ გაცემული იყო მითითება (#000100/ო), რომლის თანახმადაც, კომპანიას დასაქმებულები უნდა აღეჭურვა სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმელით, ხელთათმანებით, სათვალით).

კომპანიას ასევე უნდა უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, დაეწესებინა კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი.

შემოწმების აქტით დადგინდა, რომ აღნიშნული მითითება კომპანიამ იხთვისის მაღაროზე არ შეასრულა.

შემოწმების აქტით #000100/შ განსაზღვრული დარღვევებისათვის, კომპანია დაჯარიმდა და მიეცა დამატებითი მითითება #000214/ო (თარიღი: 27.08.2019 - იხ. დანართი).

7.2. 2019 წლის 18 ივნისს **იხთვისის მაღაროს** განმეორებითი შემოწმებისას, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ასევე გამოავლინა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის დარღვევა.

2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიის მიმართ გაცემული იყო მითითება (#000100/ო), რომლის თანახმადაც, ,,ჯორჯიან მანგანეზი'' ვალდებული იყო, უზრუნველეყო, რომ იხთვისის მაღაროზე დასაქმებულებს გაევლოთ წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

შემოწმების აქტით #000100/შ დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება არ შესრულდა. კომპანია დაჯარიმდა და მიეცა დამატებითი მითითება #000214/ო (თარიღი: 27.08.2019 - იხ. დანართი).

9. შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი განმეორებითი შემოწმების აქტიდან #000092/შ ირკვევა, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის ,,ვ'', ,,ზ'' და ,,თ'' ქვეპუნქტების დარღვევა გამოვლინდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **მღვიმევის მაღაროს** ტერიტორიაზეც.

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზს'' შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის 2018 წლის 19 დეკემბრის #000092/ო მითითებით დაევალა:

- საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ვაგონების გადმომყირავებელთან მოეწყო დამცავი ბარიერები და იატაკის ზედაპირი დაეფარა ერთგვაროვანი მყარი საფარით;
- #2 ტრანსფორმატორის შენობაზე დაემონტაჟებია გარეშე პირთა შეღწევისაგან დამცავი კარი;
- სახელოსნოში საშემდუღებლო სამუშაოების წარმოებისათვის მოეწყო ლოკალური გამწოვი სისტემა;
- დასაქმებულები აღეჭურვა სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმლით, ხელთათმანებით და სათვალეებით). უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. დაწესებულიყო კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე;
- კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უზრუნველყოფილი ყოფილიყო დასაქმებულთა წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმება.

განმეორებითი შემოწმების ზემოაღნიშნული აქტით #000092/შ დგინდება, რომ მღვიმევის მაღაროს ტერიტორიაზე არ შესრულდა ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი მითითება.

10. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3[8] პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის</u> დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **<u>,,კაციტაძეების საკარიერო უბნის''</u>** განმეორებითი შემოწმების დროს.

კომპანიას 2018 წლის 18 დეკემბერს მიღებული ჰქონდა მითითება #000104/ო, რომლის ერთ-ერთი პუნქტი კომპანიას ავალდებულებდა ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე:

- დასაქმებულები აღეჭურვა სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (სპეცტანსაცმლით, ხელთათმანებით, სათვალით და ვადიანი დიელექტრული დაცვის საშუალებებით);
- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა, დაეწესებინა კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი ახლით.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამეტის მიერ შედგენილი შემოწმების აქტითა #000265შ (27.08.2019) და #000265/ო მითითებით დგინდება, რომ აღნიშნული მითითებები ,,კაციტაძეების საკარიერო უბნის'' ტერიტორიაზე არ შესრულდა.

---

[8] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში, შემოწმების აქტსა და მითითებაში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი. აღნიშნული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, აღნიშნული ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. მითითებული ქვეპუნქტები აქვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' ძალადაკარგული კანონის შესაბამის პუნქტს. ამასთან, ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი და ძალადაკარგული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი იდენტური შინაარსისაა, კერძოდ, ეხება დამსაქმებლის ვალდებულებას, დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ვინაიდან გაცემული მითითება სწორედ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას უკავშირდება, მიგვაჩნია, რომ შესაბამის აქტებში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის ნუმერაციის ნაცვლად, შეცდომით მითითებულია ძველი ნუმერაცია.

11. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3[9] პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის</u> დარღვევა გამოავლინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს ჭიათურაში, სოფელ რგანში შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **<u>#27 საკარიერო უბნის</u>** ტერიტორიაზე განხორციელებული განმეორებითი შემოწმების შედეგად.

განმეორებით შემოწმებამდე, კომანიას მიღებული ჰქონდა მითითება #27 საკარიერო უბნის ტერიტორიაზე ინდივიდუალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფის შესახებ. მისი შინაარსი წინა პუნქტში აღწერილი მითითების ანალოგიურია.

დეპარტამენიტის მიერ შედგენილი მითითებით #000264/ო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტითა და შემოწმების აქტით #000264შ (თარიღი: 27.08.2019) განისაზღვრა, რომ კომპანიამ არ შეასრულა თავდაპირველი მითითება.

12. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მესამე პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დააფიქსირა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **<u>შუქრუთის მაღაროს</u>** განმეორებითი ინსპექტირებისას.

შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოცემული #000044/ო მითითების (თარიღი: 17.12.2018) საფუძველზე, კომპანია ვალდებული იყო:

- საწარმო აღეჭურვა კოლექტიური დაცვს საშუალებებით: ლოკალური სავენტილაციო სისტემებით, ამოსატუმბი აგრეგატებით და ასპირაციული სისტემებით;
- უზრუნველეყო დაცვის და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება;
- დასაქმებულები აღეჭურვა აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ: ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, საათით, სათვალით/ფარით, რესპირატორით, დიელექტრული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით;
- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გაეკონტროლებინა მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისისნი. უზრუნველეყო მათი-მოვლა-გასუფთავება;
- შეემოწმებინა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა.

---

[9] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმში, შემოწმების აქტსა და მითითებაში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტის ნაცვლად, მითითებულია მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი. აღნიშნული წარმოადგენს შეცდომას, ვინაიდან, აღნიშნული ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები. მითითებული ქვეპუნქტები აქვს ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' ძალადაკარგული კანონის შესაბამის პუნქტს. ამასთან, ორგანული კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი და ძალადაკარგული კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი იდენტური შინაარსისაა, კერძოდ, ეხება დამსაქმებლის ვალდებულებას, დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. ვინაიდან გაცემული მითითება სწორედ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას უკავშირდება, მიგვაჩნია, რომ შესაბამის აქტებში ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლის ნუმერაციის ნაცვლად, შეცდომით მითითებულია ძველი ნუმერაცია.

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული განმეორებითი შემოწმების აქტით #000044, დგინდება, რომ:

- საწარმოში სრულყოფილად არ განხორციელდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შემოწმება;
- სამუშაო სივრცეები არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით - ამოსატუმბი აგრეგატებით;
- სამუშაო უბნებზე არ ხორციელდება წყლის ამოტუმბვა, არასაკმარისია სატუმბი აგრეგატები. მოუწყობელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- სავენტილაციო სისტემების მილგაყვანილობები დაზიანებულია;
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, სათვალეთი/ფარით, შესაბამისი რესპირატორით, დიელექტრიკული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით;
- მაღაროში გამოიყენება მტვრის საწინააღმდეგო ერთჯერადი რესპირატორები, რაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთა სასუნთქი სისტემის ეფექტურ დაცვას აფეთქებისშემდგომ წარმოქმნილი მავნე აეროზოლებისაგან;
- საყირავზე მოძრავი მექანიზმები დამცავი ფარების გარეშეა. არ არის გატარებული გამტვერვის საწინააღმდეგო ღონისძიებები - დასამონტაჟებელია ასპირაციული სისტემები.
- ქვესადგურზე არ არის უზრუნველყოფილი არაავტორიზებულ პირთა შეღწევის შეზღუდვა. ფანჯრები დაზიანებულია, იატაკი არაერთგვაროვანია; პერსონალი არ არის უზრუნველყოფილი დიელექტრული საშუალებებით;
- მაღალი ძაბვის ქვესადგური საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს;
- განიავების უბანთან არსებულ ქვესადგურს ესაჭიროება სარემონტო სამუშაოები; დაზიანებულია იატაკის საფარველი, კედლები, ჩამტვრეულია ფანჯრები. დიელექტრული საშუალებების ნაწილი დაზიანებულია, ნაწილი ვადაგასულია - საჭიროებს ლაბორატორიულ კონტროლს. განათება არადამაკმაყოფილებელია;
- სპეცტანსაცმელი ირეცხება პერსონალის მიერ, ოჯახებში.

13. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელებული შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **<u>,,დევიძეების უბნის''</u>** მაღაროს განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000054/ო, რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

- საწარმო აღეჭურვა კოლექტიური დაცვის საშუალებებით: სავენტილაციო სისტემებით, ამოსატუმბი აგრეგატებით;
- დასაქმებულები აღეჭურვა აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. უზრუნველეყო აღნიშნული საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური

გამართულობა. გაეკონტროლებია მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი;

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტით (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,დევიძეების უბნის'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები. ამასთან დამატებით, გამოვლინდა ამ მუხლის შესაბამის პუნქტებთან დაკავშირებული შემდეგი შეუსაბამობები:

- სამუშაო სივრცეები არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით - ამოსატუმბი აგრეგატებით. სამუშაო უბნებზე არ ხორციელდება წყლის ამოტუმბვა, არასაკმარისია სატუმბი აგრეგატები. მოუწყობელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა;
- სავენტილაციო სისტემების მილგაყვანილობები დაზიანებულია. ადგილი აქვს სავენტილაციო მილგაყვანილობის და ელექტროსადენების ერთ კედელზე, ერთმანეთის გვერდით განთავსების ფაქტს;
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, სათვალე/ფარი, შესაბამისი რესპირატორით, დიელექტრული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით;
- მაღაროში გამოიყენება მტვრის საწინააღმდეგო ერთჯერადი რესპირატორები, რაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთა სასუნთქი სისტემის ეფექტურ დაცვას აფეთქებისშემდგომი და სამთო მანქანების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი მავნე აეროზოლებისგან;
- საწყობი და აგს მეხდაცვის გარეშეა;
- პერსონალი არ მომარაგდა დეტექციის (დაცვის და კონტროლის სისტემით) საშუალებებით, რომლითაც განახორციელებდნენ მუდმივ კონტროლს სამუშაო სივრცეებში არსებულ მავნე აეროზოლების კონცენტრაციაზე - აფეთქების შემდგომ სანგრევზე დაშვებამდე და შემდგომში მუდმივად სამთო მანქანების მუშაობისას.

14. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**,,პერევისას მაღაროს''**</u> განმეორებითი ინსპექტირებისას.

2018 წლის 17 დეკემბერს, დეპარტამენტს კომპანიის მიმართ გაცემული ჰქონდა მითითება #000046/ო, რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

- საწარმო აღეჭურვა კოლექტიური დაცვის საშუალებებით: სავენტილაციო სისტემებით, ამოსატუმბი აგრეგატებით;
- დასაქმებულები აღეჭურვა აუცილებელი ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კერძოდ: ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, საათით, სათვალით/ფარით, შესაბამისი რესპირატორით, დიელექტრული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით.

- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა. გაეკონტროლებია მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი;
- უზრუნველეყო დაცვის კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000248 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტით (#000046, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000248, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,პერევისას'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები და გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

- სამუშაო სივრცეები არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი კოლექტიური დაცვის საშუალებებით - ამოსატუმბი აგრეგატებით. სამუშაო უბნებზე არ ხორციელდება წყლის ამოტუმბვა, არასაკმარისია სატუმბი აგრეგატები. მოუწყობელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. სატუმბი დანადგარის მილგაყვანილობა დაზიანებულია და ამოტუმბული წყალი კვლავ უბრუნდება სამუშაო სივრცეს.
- სავენტილაციო სისტემის მილგაყვანილობი დაზიანებულია.
- დასაქმებულები კვლავ არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი და ეფექტური ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ვიბრომაიზოლირებელი ხელთათმანებით, სამუხლეებით, საიდაყვეებით, სათვალე/ფარი, შესაბამისი რესპირატორით, დიელექტრული საშუალებებით, ხმაურჩამხშობებით.
- მაღაროში გამოიყენება მტვრის საწინააღმდეგო ერთჯერადი რესპირატორები, რაც ვერ უზრუნველყოფს დასაქმებულთა სასუნთქი სისტემის ეფექტურ დაცვას აფეთქებისშემდგომი და სამთო მანქანების მუშაობის შედეგად წარმოქმნილი მავნე აეროზოლებისგან;
- პერსონალი არ მომარაგდა დეტექციის (დაცვის და კონტროლის სისტემით) საშუალებებით, რომლითაც განახორციელებდნენ მუდმივ კონტროლს სამუშაო სივრცეებში არსებულ მავნე აეროზოლების კონცენტრაციაზე - აფეთქების შემდგომ სანგრევზე დაშვებამდე და შემდგომში მუდმივად სამთო მანქანების მუშაობისას.

15. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ'', ,,დ'', ,,ვ'' და ,,ზ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - **<u>,,კოროხნალის უბანის''</u>** განმეორებითი შემოწმების შედეგად.

აღნიშნული დარღვევების შინაარსი ძალიან გავს წინა პუნქტში აღწერილი შეუსაბამობებს, ამიტომ, მათ დეტალურ განხილვაზე აქ აღარ შევჩერდებით.

16. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-6 მუხლის მე-3 პუნქის ,,ზ'' და ,,თ'' ქვეპუნქტების</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 19 ივლისს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელექტრო მექანიკური საამქროს**</u> განმეორებითი ინსპექტირების შედეგად.

კომპანიას, 2018 წლის 18 დეკემბერს მიღებული ჰქონდა მითითება #000099/ო, რომლის თანახმადაც იგი ვალდებული იყო:

- დასაქმებულები აღეჭურვა სამუშაო სპეციფიკის და საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შესაბამისად ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ფეხსაცმელი);
- უზრუნველეყო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა; დაეწესებინა კონტროლი მათ სწორ გამოყენებაზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დროულად შეეცვალა ისინი ახლით;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უზრუნველეყო დასაქმებულებისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება.

შემოწმების შედეგად, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ, არ შესრულდა აღნიშნული ვალდებულება.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონისმე-8 მუხლის (პირველადი სამედიცინო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება, ევაკუაცია, მომეტებული საფრთხე) 1-ლი პუნქტი:

1. დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები;

ბ) განახორციელოს აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.

2. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის დარღვევა გამოვლინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' **ცენტრალური საწყობის** შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ, ,,ჯორჯიან მანგანეზს მიეცა მითითება გაეთვალისწინებინა საწარმოს სიდიდე, საქმიანობის სფერო და სამუშაო პირობები და მიეღო პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ზომები.

დეპარტამენტის შემოწმების აქტით (#000045/შ) დადგინდა, რომ აღნიშნული ვალდებულება კომპანიამ არ შეასრულა.

12. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის დარღვევა დააფიქსირა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა, 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **შუქრუთის მაღაროს** განმეორებითი ინსპექტირებისას.

კომპანია, შრომის პირობების ინპექტირების დეპარტამენტის მიერ გამოცემული #000044/ო მითითების (თარიღი: 17.12.2018) საფუძველზე, ვალდებული იყო, მიეღო პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ზომები, საწარმოს სიდიდის, საქმიანობის სფეროსა და სამუშაო პირობების შესაბამისად.

დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი #000249 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა და ამავე დღეს გამოცემული განმეორებითი შემოწმების აქტით #000044, დგინდება, რომ:

- ,,საწარმომ არ უზრუნველყო პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ზომები. სააფთიაქო ყუთები არ არის განთავსებული სამუშაო ადგილებზე (მიწისქვეშა გამონამუშევრებში), სამუშაო უბნებზე არ განთავსდა საკაცეები'';
- ,,გაურვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი და პირობები;''
- ,,საკვები ულუფები ინახება სამედიცინო პუნქტში''.

13. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში განხორციელებული შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**,,დევიძეების უბნის'' მაღაროს**</u> განმეორებითი შემოწმებისას.

2018 წლის 19 დეკემბერს, დეპარტამენტს, კომპანიის მიმართ, გაცემული ჰქონდა მითითება #000054/ო, რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას: <u>გაეთვალისწინებინა საწარმოს სიდიდე, საქმიანობის სფერო და სამუშაო პირობები და მიეღო პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ზომები.</u>

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით (000246 თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000054, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000246, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,დევიძეების უბნის'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები. ამასთან, გამოვლინდა ამ მუხლის შესაბამის პუნქტებთან დაკავშირებული შემდეგი შეუსაბამობები:

- ობიექტზე არ იყო შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებულ მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე (ასაფეთქებელი საწყობი, ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები;
- აგრეთვე გაურკვეველი იყო მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი დაპირობები.

14. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17-18 ივნისს, ჭიათურაში, სოფელ პერევისაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული <u>**,,პერევისას მაღაროს''**</u> განმეორებითი ინსპექტირებისას.

2018 წლის 17 დეკემბერს, დეპარტამენტს, კომპანიის მიმართ, გაცემული ჰქონდა მითითება #000046/ო, რომელიც მათ შორის, კომპანიას აკისრებდა ვალდებულებას:

- გაეთვალისწინებინა საწარმოს სიდიდე, საქმიანობის სფერო და სამუშაო პირობები და მიეღო პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ზომები;
- დასაქმებულებისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებების და მათი განხორციელების წესის შესახებ.

განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000248 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000046, თარიღი 27.08.2019) და მითითებით (#000248, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ ,,პერევისას'' მაღაროზე, კომპანიამ არ შეასრულა ზემოაღნიშნული ვალდებულებები და გამოვლინდა შემდეგი შეუსაბამობები:

- სამუშაო უბნებზე არ განთავსდა საკაცეები;
- სააფთიაქო საშუალებები განთავსდა მხოლოდ მიწის ზედაპირზე არსებულ სათავსში;
- არ იყო შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე (ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები;
- აგრეთვე არ იყო განსაზღვრული მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი დაპირობები.

15. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის <u>მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის</u> დარღვევა დაადგინა, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა 2019 წლის 17 ივნისს, ჭიათურაში, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული მაღაროს - **<u>,,კოროხნალის უბანის''</u>** განმეორებითი შემოწმების შედეგად.

განმეორებითი ინსპექტირების საფუძველზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით #000247 (თარიღი: 27.08.2019), შემოწმების აქტითა (#000247) და მითითებით (#000247, თარიღი: 27.08.2019) დადგენილია, რომ:

,,საწარმომ არ უზრუნველყო პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის აუცილებელი ზომები. სააფთიაქო ყუთები არ არის განთავსებული სამუშაო ადგილებზე (მიწისქვეშა გამონამუშევრებში), სამუშაო უბნებზე არ განთავსდა საკაცეები. სააფთიაქო საშუალებები განთავსდა მხოლოდ მიწის ზედაპირზე არსებულ სათავსში.''

,,არ არის შემუშავებული მიწის ზედაპირზე არსებული მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე (ავტო გასამართი სადგური, სატრანსფორმატორო) საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმები. აგრეთვე, გაურკვეველია მაღაროში დასაქმებულის დაშავების შემთხვევაში მისი ევაკუაციის წესი და პირობები.''

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლი (სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება)

1. დასაქმებული ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს დამსაქმებელს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის შესახებ, რომელიც სხვა პირს შეემთხვა და რომელსაც დასაქმებული შეესწრო, ან რომელიც დასაქმებულს შეემთხვა, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის

საშუალებას აძლევს. დამსაქმებელს აგრეთვე უნდა ეცნობოს ნებისმიერი უბედური შემთხვევის, საშიში შემთხვევისა და მავნე საწარმოო ფაქტორების შესახებ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ მიიღოს პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილებისათვის აუცილებელი ზომები;

ბ) ამ კანონის მე-14 მუხლის „გ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დროს დაიცვას სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილი და უცვლელად შეინარჩუნოს იგი კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან ასაცილებლად. თუ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის ადგილზე სიტუაცია იცვლება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის შემდგომი საფრთხის თავიდან აცილების ან სერიოზული ეკონომიკური ზიანის თავიდან აცილების მიზნით, დამსაქმებელმა უნდა შეადგინოს სამუშაო ადგილზე არსებული სიტუაციის შესაბამისი აღწერილობა სათანადო მდგომარეობის გამომწვევი მიზეზების მოკვლევის ხელშეწყობისათვის;

გ) სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის დადგომიდან 24 საათის განმავლობაში აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ:

გ.ა) შესაბამის დასაქმებულთა გაერთიანებას (არსებობის შემთხვევაში) და დასაქმებულთა წარმომადგენელს;

გ.ბ) სამართალდამცავ ორგანოებს – ამ კანონის მე-14 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევის დროს და მაშინ, როდესაც უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებული ფაქტები დანაშაულის ნიშნებზე მიანიშნებს;

გ.გ) ზედამხედველ ორგანოს – ამ კანონის მე-14 მუხლის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევების დროს;

დ) აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები და პროფესიული დაავადებების შემთხვევები, რაც გულისხმობს კომპეტენტური უწყებების წარმომადგენელთა, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისა და დაშავებული დასაქმებულის, თუ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა, ერთობლივი მონაწილეობით შესაბამისი უბედური შემთხვევის და პროფესიული დაავადების მიზეზის დადგენას.

3. თუ უბედური შემთხვევა დასაქმებულს სხვა დამსაქმებლის სამუშაო სივრცეში შეემთხვა, ეს დამსაქმებელი ვალდებულია დაზარალებული დასაქმებულის დამსაქმებელს დაუყოვნებლივ აცნობოს უბედური შემთხვევის შესახებ.

4. დამსაქმებელი ვალდებულია შეინახოს საშუალო სიმძიმის, მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევების შესახებ მტკიცებულებები, რომლებიც უნდა შეიცავდეს იმ მონაცემებს, რომლებიც საჭირო იქნება შესაბამისი უბედური შემთხვევის აღწერისათვის, თუ სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევის შედეგები მოგვიანებით გამოვლინდება, და მიიღოს სათანადო ზომები ასეთი უბედური შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

5. მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის დეტალური პროცედურები, აგრეთვე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების აღრიცხვის წესი და ფორმა, მოკვლევის

პროცედურები, ანგარიშგების წესი და ვადები განისაზღვრება მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.''

12.1. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ.გ'' ქვეპუნქტის დარღვევა დადგინდა შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 27 აგვისტოს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმითა (#000220, თარიღი: 27.08.2019) და გაცემული მითითებით (#000220). აღნიშნული აქტები უკავშირდებოდა ჭიათურაში, სოფელ შუქრუთში, შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებული **შუქრუთის მაღაროს** ტერიტორიაზე მომხდარ უბედურ შემთხვევას.

შრომის პიროების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ:

შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილ შუქრუთის მაღაროზე 2019 წლის 13 ივლისს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, დაშავდა ერთი დასაქმებული: ,,თ'' ,,ჭ''. დამსაქმებელმა არ შეასრულა ვალდებულება და არ უზრუნველყო სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანგარიშგება და ასევე, ზედამხედველ ორგანოს არ შეატყობინა უბედური შემთხვევის შესახებ.

შეჯამება

2018 წლის ინსპექტირების შედეგად, შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მმართველობაში არსებულ ყველა ინსპექტირექტირებულ ობიექტზე დაფიქსირდა დამსაქმებლის მიერ სამუშაო ადგილებზე საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკის შეფასების მართვის სისტემაზე დაფუძნებული პრევენციული ღონისძიებების სრულყოფილად განუხორციელებლობის შემთხვევები. მათ შორის, არსებული რისკების თავიდან აცილების, მათი შეფასების, საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირების, აღმოფხვრის და მათი ნაკლებად საშიში ფაქტორებით ჩანაცვლების ვალდებულება სრულყოფილად არ განხორციელდა.

ასევე, ყველა ისპექტირებულ ობიქტზე არ იყო განხორციელებული ვალდებულება, რომელიც უკავშირდება დასაქმებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას და ამ საშუალებების სისუფთავეს, ტექნიკურ გამართულობასა და სწორად გამოყენების უზრუნველყოფას (სპეც. ტანსაცმელი, სპეც. ფეხსაცმელი, დამცავი ხელთათმანები, სამუხლეები, საიდაყვეები, საათი, სათვალე, ფარი, რესპირატორი, დიელექტრული საშუალებები, ხმაურჩამხშობები და სხვ.).

შრომის პიროების ინსპექტირების დეპარტამენტმა ყველა ინსპექტირებულ ობიექტზე დააფიქსირა დამსაქმებლის მიერ ვალდებულების განუხორციელებლობა, რომელიც უკავშირდება სამუშაო ადგილებზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფი პირების ყოფნის პრევენციას. უფრო კონკრეტულად კი, შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა მიუთითა, რომ არც ერთ შემოწმებულ ობიექტზე არ

იყო განსაზღვრული პირი, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ზედამხედველობა გაეწია საწარმოში არაფხიზელი პირების მოხვედრის პრევენციაზე.

შრომის ინსპექტირების დეპარტამენტმა ყველა ინსპექტირებულ ობიექტზე გასცა მითითებები ისეთი მნიშვნელოვანი ვალდებულების განუხორციელებლობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, როგორიცაა დადგენილი პერიოდულობით საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების შემოწმება, გაზომვა და შეაფასება (მათ შორის, ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, სითბური გამოსხივება, საწარმოო ხმაური, ვიბრაცია, განათება, არამაიონიზებელი და მაიონიზებელი გამოსხივება, ფიბროგენული მოქმედების აეროზოლები (მტვერი) და სხვ).

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ასევე მიუთითა, რომ არც ერთ ინსპექტირებულ ობიექტზე დამსაქმებელმა არ შეასრულა ვალდებულება, რომელიც უკავშირდება დასაქმებულებისათვის საგანგებო სიტუაციების დროს საევაკუაციო ღონისძიებებისა და მათი განხორციელების წესის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოგვაწოდა 2018 წელს შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებულ 19 ობიექტზე განხორციელებული ინსპექტირების მასალები. 19-დან უმრავლესობაში, 10 შემთხვევაში, დეპარტამენტმა დაადგინა, რომ დამსაქმებლის მიერ ირღვეოდა დასაქმებულთა კოლექტიური დაცვის საშუალებებით აღჭურვის ვალდებულება (ლოკალური სავენტილაციო სისტემების, ამოსატუმბი აგრეგატების, ასპირაციული სისტემების, მანქანა დანადგარების ფარების, ხმაურის შემამცირებელი სისტემების და სხვა კოლექტიური დაცვის საშუალებების უქონლობა). 10-ვე შემთხვევაში დადგინდა ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობის შეუმოწმებლობის შემთხვევა.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მფლობელობაში არსებულ 9 ობიექტზე დაადგინა, რომ არ იყო უზრუნველყოფილი დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობის უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება.

9 ობიექტზე გაიცა მითითება იმის შესახებ, რომ მიღებული ყოფილიყო პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ზომები. 9 შემთხვევაში ასევე დადგინდა, რომ კომპანია არ უზრუნველყოფდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დასაქმებულთათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარებას.

ძალიან ხშირ შემთხვევაში, ობიექტებზე გაიცა მითითებები ,,სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის'' შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

დეპარტამენტმა ასევე დააფიქსირა შრომით აქტივობასთან დაკავშირებული სწავლების სრულყოფილად განუხორციელებლობის, საწარმოო ხმაურის გადაჭარბების, საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმის შეუმუშავებლობისა და სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები.

რაც შეეხება 2019 წელს განხორციელებულ ინსპექტირებას, შეუძლებელია ითქვას აღმოფხვრილი იქნა თუ არა ჯორჯიან მანგანეზის ობიექტებზე 2018 წელს დაფიქსირებული კონკრეტული (ინდივიდუალური) დარღვევები. თუმცა, შესაძლებელია ითქვას, რომ ცალკეულ ობიექტებზე უმეტესად მეორდება 2018 წელს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ

დადგენილი დარღვევები მუხლობრივად. თავშივე აღინიშნა, რომ ,,ჯორჯაინ მანგანეზს'' გასაჩივრებული აქვს 2019 წელს განხორციელებული ინსპექტირების შედეგები, შესაბამისად, სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე შეუძლებელია ვიმსჯელოთ კონკრეტულ ობიექტებზე კონკრეტული დარღვევის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. თუმცა, თავისუფლად შეგვიძლია დავადგინოთ ის, თუ რა ვალდებულებებისა და რა სახის მითითებების შეუსრულებლობა დაადგინა შრომის პირობების ინსპექტირების დეპატრამენტმა ობიექტების განმეორებითი შემოწმებისას მუხლობრივად ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის კონტექსტში. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ზოგადი სურათი, თუ რა სახის ვალდებულებების შეუსრულებლობა დაფიქსირდა კონკრეტულ ობიექტებზე განმეორებითი ინსპექტირებისას.

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა განმეორებითი ინსპექტირების შედეგად შპს ,,ჯორჯაინ მანგანეზის'' 16 ობიექტზე გამოავლინა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა, რომელიც გულისხმობს საწარმოს სიდიდის, დასაქმებულთა რაოდენობის, სამუშაო პირობების, საფრთხის ხარისხის, ხასიათისა და სტრუქტურის და შესაბამისი რისკების გათვალისწინებით, სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დამსაქმებელი თავისი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში ვალდებულია დაიცვას დასაქმებულთა უსაფრთხოება. (ავტოპარკი, ცენტრალური საწყობი, ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა, აჯამეთის კარიერი, დარკვეთის მაღაროს, იხთვისის მაღაროს, ბიგების ჩიხი, მღვიმევის მაღარო, ,,კაციტაძეების საკარიერო უბანი'', #27 საკარიერო უბნის ტერიტორია, შუქრუთის მაღარო, ,,დევიძეების უბნის'' მაღარო, ,,პერევისას მაღარო'', ,,კოროხნალის უბანი,'' გამამდიდრებელი კომბინატის ელ-მექანიკური საამქრო).

ამ ნორმის დარღვევა, მათ შორის, გამოიხატებოდა კომპანიის მიერ საწარმოო გარემოს ფიზიკური ფაქტორების გაზომვის სრულყოფილად განუხორციელებლობით, რაც პირველადი შემოწმების დროსაც ყველა ინსპექტირებულ ობიექტზე დაფიქსირდა.

ამ ნორმის დარღვევა ასევე გამოიხატა ობიექტების ტერიტორიაზე ტექნიკური აღჭურვილობის მდგომარეობის შეუმოწმებლობით, რაც ხშირად გვხვდება პირველადი ინსპექტირების შედეგად გაცემულ მითითებებში.

ამ ვალდებულების დარღვევა ასევე დადგინდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მიერ შუქრუთის მაღაროზე 2019 წლის 13 ივლისს მომხდარი უბედური შემთხვევის აღურიცხაობისა და შეუტყობინებლობის გამო.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა გამოვლინდა განმეორებითი ინსპექტირებისას შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' 8 ობიექტის (ცენტრალური საწყობი, ბიგების ჩიხი, ,,კაციტაძეების საკარიერო უბანი'', #27 საკარიერო უბანი, შუქრუთის მაღარო, ,,დევიძეების უბანი'', ,,პერევისას მაღარო'' და ,,კოროხნალის უბანი'') ტერიტორიაზე. აღნიშნული ნორმა, ძირითადად, უკავშირდება დამსაქმებლის ვალდებულებას, დასაქმებულებს ჩაუტაროს სწავლება და ინსტრუქტაჟი სხვადსხვა საკითხების შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, პირველადი ინსპექტირებისას განსაკუთრებით ხშირი შემთხვევა იყო საგანგებო სიტუაციების შესახებ სწავლების ჩატარების ვალდებულების დარღვევა.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის დარღვევა დაფიქსირდა შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' 4 ობიექტზე (შუქრუთის მაღარო,

,,დევიძეების უბანი'', ,,პერევისას მაღარო'', ,,კოროხნალის უბანი'') განმეორებითი ინსპექტირების შედეგად. აღნიშნული ნორმა ძირითადად, განსაზღვრავს დამსაქმებლის ვალდებულებას - დასაქმებულებს, დასაქმებულთა წარმომადგენელს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს მიაწოდოს სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის, პროფესიული რისკებისა და მავნე საწარმოო ფაქტორების, საგანგებო სიტუაციებს, საევაკუაციო გეგმებს და მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში მისაღები ზომებისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აკრძალვების შესახებ.

შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' მართვაში არსებული 15 ობიექტის (ავტოპარკი, ცენტრალური საწყობი, ზესტაფონის ფერაშენადნობი ქარხანა, ფეროშენადნობი ქარხნის წყალსადენი, აჯამეთის კარიერი, იხთვისის მაღარო, ბიგების ჩიხი, მღვიმევის მაღარო, ,,კაციტაძეების საკარიერო უბანი'', #27 საკარიერო უბანი, შუქრუთის მაღარო, ,,დევიძეების უბანი'', ,,პერევისას მაღარო'', ,,კოროხნალის უბანი'', გამამდიდრებელი კომბინატის ელ-მექანიკური საამქრო) განმეორებითი შემოწმებისას შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტმა დააფიქსირა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის (პრევენცია) 1-ლი პუნქტის დარღვევა, რომელიც დამსაქმებლის მიერ რისკების თავიდან აცილებას, მათ შეფასებას და ნალიზს ითხოვს. ასევე, დამსაქმებელი პასუხისმგებელია საფრთხის შემცველი ფაქტორების პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე და აღმოფხვრაზე. აღნიშნული მუხლის დარღვევა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა შემთხვევაში დადგინდა პირველადი ინსპექტირების დროსაც. პრაქტიკაში, ხარვეზის დადგენის მიზეზების შესახებ მითითებაში აღწერილია, რომ კომპანიამ სრულყოფილად ვერ უზრუნველყო დასაქმებულთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, ასეთი რისკების შეფასება, რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტის შედგენა და შესაბამისი პრევენციული ზომებისა და რისკის აღმოფხვრის/შემცირების ზომების გატარება.

თვალშისაცემია, რომ თუ პირველი ინპექტირებისას დგინდებოდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა-დ'' ქვეპუნქტების დარღვევა, რომელიც დამსაქმებელს არსებული რისკების აღმოფხვრაზე ზრუნვას და საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით ჩანაცვლებას ავალდებულებდა, განმეორებით შემოწმების აქტებში, ხშირად, ვხვდებით ამავე პუნქტის ,,ა-ვ'' პუნქტების დარღვევას. ამ შემთხვევაში არსებული რისკების აღმოფხვრაზე ზრუნვას თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკის შემუშავება ემატება, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს; ასევე, საფრთხის შემცველი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე დამსაქმებელი ვალდებულია შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს; რაც გარკვეულწილად, შესაძლოა, განპირობებული იყოს ახალი ორგანული კანონის გამკაცრებული მოთხოვნებით.

ერთ-ერთ შემოწმების აქტში ასევე მითითებულია, რომ არასრულყოფილმა რისკის მართვის სისტემამ განაპირობა 16.06.2019 წელს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევა, რამაც გამოიწვია დასაქმებულის (22 წლის გ. მ. ტრამვირება).

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის (პრევენცია) მე-3 პუნქტის დარღვევა დაფიქსირდა შპს ,,ჯორჯიან მანგანეზის'' 13 ობიექტის (ავტოპარკი,

ცენტრალური საწყობი, ზესტაფონის ფერაშენადნობი ქარხანა, იხთვისის მაღარო, მღვიმევის მაღარო, ,,კაციტაძეების საკარიერო უბანი,'', #27 საკარიერო უბანი, შუქრუთის მაღარო, ,,დევიძეების უბანი'', ,,პერევისას მაღარო'', ,,კოროხნალის უბანი'', სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ელ-მექანიკური საამქრო) განმეორებითი შემოწმებისას. აღნიშნული ნორმა თავს უყრის დამსაქმებლის მრავალ ვალდებულებას, მათ შორის, დასაქმებულთა ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებებით აღჭურვას, საფრთხის შემცველი ადგილების გამოვლენას, დაცვისა და კონტროლის სისტემებისა და საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობის გამართულ ფუნქციონირებას, დასაქმებულთა წინასწარ და პერიოდულ სამედიცინო შემოწმებას და სხვა. ჩამოთვლილ ვალდებულებებთან დაკავშირებული დარღვევების უმრავლესობა ჭარბობდა პირველადი შემოწმებისას, რა ტენდენციაც ასევე დაფიქსირდა განმეორებითი ინსპექტირების დროსაც.

გამოსწორებული დარღვევების თვალსაზრისით, უნდა აღინიშნოს, რომ ამავე ნორმის ნაწილია დამსაქმებლის ვალდებულება - არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს. განმეორებითი ინსპექტირებისას, აღნიშნული დარღვევა ძალიან იშვიათად ფიქსირდება, რაც ამ თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებული სურათია.

,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის (პირველადი სამედიცინო დახმარება, სახანძრო უსაფრთხოება, ევაკუაცია, მომეტებული საფრთხე) 1-ლი პუნქტის დარღვევა გამოვლინდა შპს ჯორჯიან მანგანეზის 5 ობიექტის (ცენტრალური საწყობი, შუქრუთის მაღარო, ,,დევიძეების უბანი'', ,,პერევისას მაღარო'', ,,კოროხნალის უბანი'') განმეორებითი ინსპექტირებისას (9 შემთხვევა პირველი შემოწმებისას).

დამატებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის (სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების შემთხვევების რეგისტრაცია, მოკვლევა და ანგარიშგება) 1 დარღვევა გამოვლინდა შუქრუთის მაღაროს განმეორებითი ინსპექტირებისას. კერძოდ, შრომის პიროების ინსპექტირების დეპარტამენტმა დაადგინა, რომ: შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზის'' კუთვნილ შუქრუთის მაღაროზე 2019 წლის 13 ივლისს მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, დაშავდა ერთი დასაქმებული: ,,თ'' ,,ჭ''. დამსაქმებელმა არ შეასრულა ვალდებულება და არ უზრუნველყო სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის ანგარიშგება და ასევე, ზედამხედველ ორგანოს არ შეატყობინა უბედური შემთხვევის შესახებ.

საბოლოოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ შ.პ.ს. ,,ჯორჯიან მანგანეზში'' შრომის უსაფრთხოების პირობების სრულად აღსაქმელად, ძალიან მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილებები იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებზე, რომელიც კომპანიის მიერ გასაჩივრებულია. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანას კი თვეები შეიძლება დასჭირდეს, რაც ზოგადად, ხელს უშლის ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის ეფექტიან იმპლემენტაციას. ამას გარდა, აღნიშნულს წინ ეღობება შრომის ინსპექტირების დეპარტამენტის შეზღუდული ფუნქციები, მისი ფინანსური და ადამიანური რესურსების სიმწირე, შრომის პიროებების შემოწმების ინსტიტუციური გამოცდილების წყვეტა და კანონქვემდებარე აქტებსა თუ პრაქტიკაში არსებული ბუნდოვანებები.

მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ'' საქართველოს კანონის ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის აუცილებელია თავად დასაქმებულთა შესაძლებლობების ზრდა, მათი ცნობიერების ამაღლება და კოლექტიური აქტივიზმის ხელშეწყობა. მნიშვნელოვანია ასევე, გარე ფაქტორების უფლებამოსილებათა წახალისება, ისეთები, როგორებიცაა პროფესიული კავშირები და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რათა ერთი მხრივ გაკონტროლდეს დასაქმებულთა მიერ კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხარისხი, ხოლო მეორე მხრივ, ზედამხედველი ორგანოების ეფექტიანობა და მათი საქმიანობის გამართულობა.